ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 2018 №301 (7846) ფასი: 60 თეთრი

სალომე სამადაშვილი: „კირკიტაძე ხელისუფლების სამიზნეა“

გვ.3

კახი კალაძე „ოცნებიდან“ მიდის და კობახიძესთან ერთად ახალ პარტიას ქმნის

გვ.3

გია ნოდია: „პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარედ შეიძლება უმრავლესობისთვის მოულოდნელი კანდიდატი დაასახელოს“

გვ.2

ზაზა პაპუაშვილი: „მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარს დავუჭერ“

გვ.2

გუბაზ სანიკიძე: „მკვლელის ვინაობა ცნობილია“

გვ.4

„ვერავის ვერასოდეს დაარწმუნებენ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა“

სამართალი გვ.7

სისხლიანი გარჩევა ვაკეში

დავით კაჭარავა, ირაკლი რამიშვილი და ზურა რაზმაძე დააკავეს

დავით კირკიტაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო დღეს იმსჯელებს

თელავში დაჭრეს დედათა მონასტრის წინამძღვრის შვილი და 2 სხვა პირი

გოგა ონიანმა შინაპატიმრობა მოითხოვა, მაგრამ უარი ეთქვა

უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია — „რუსული სამყაროს“ იდეის ჩამონგრევის დასაწყისი

გვ.6

ია მეტრეველი: „დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი განაჩენი დადგებოდა“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 გიგა ბუკია: „სამართლიანობის დამყარება დაიწყო“

7 ბარს ჰომოფობიური მოტივით თავს დაესხნენ

3 გიორგი ტყემალაძე: „მე როგორ უნდა შემეთავაზებინა ვინმესთვის ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურა?!“

7 ფეხბურთელთა მწვრთნელს არასრულწლოვან გოგონასთან გარყვნილი ქმედებისთვის 5 წელი მიუსაჯეს

ზაზა პაპუაშვილი: „მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარს დავუჭერ“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ მთავარი თავის ტკივილი ნიკა მელია გახდა. ისე გაამწარა მან ხელისუფლება, რომ მათ კარგა ხანია სააკაშვილიც კი დაავიწყდათ და ცოტა ხანში შესაძლოა ადამის დროდან ჩადენილი ყველა ცოდვა მას აჰკიდონ.

მამა აბრამის ბატკანი არც ნიკა მელიაა, მაგრამ არც ისეთი დამნაშავეა, რომ მას პარლამენტმა დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნას. არადა ეს საკითხი შეიძლება მართლაც დადგეს დღის წესრიგში.

მედიას მელიასთვის იმუნიტეტის შესაძლო შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა და მელიასადმი განსაკუთრებულად აგრესიულად განწყობილმა ზაზა პაპუაშვილმა მიაწოდა.

ერთი კვირის წინ, 12 დეკემბერს, პარლამენტში მომხდარი ჩხუბისას ზაზა პაპუაშვილი უკნიდან მიეპარა კოლეგას და მისთვის თავში ჩაცხება სცადა. მოგვიანებით განმარტა, რომ სურდა მელიასთვის ქეჩოში ეტაცა ხელი. არადა ამ უკანასკნელს უკვე თავადაც აღარ ახსოვს, როდის ჰქონდა ქეჩო.

მელიას მიმართ აგრესია მეოცნებეებს 16 დეკემბერს კახეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ გაეზარდათ. თან არც ის დაგავიწყდეთ, რომ შს მინისტრმა გახარიამ მელიას შესაძლო დასჯაზე განცხადება გააკეთა.

ზაზა პაპუაშვილი, რომელიც თავად ხშირად არის არეულობის და დებოშის ავტორი, მიიჩნევს, რომ მელია დეპუტატისთვის შეუფერებლად იქცევა.

– როგორც მელია იქცევა, ასეთი არავინ მინახავს. თავხედი ბევრი შემხვედრია ჩემს ცხოვრებაში, უტვინოც ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთი არავინ. ამხელა კაცი ხარ, რას აკეთებ, როგორ აკეთებ, ოდნავ მაინც გეუხერხულებოდეს შენი საქციელის. ვიღაცა მაინც უნდა გეუბნებოდეს, რომ ასე არ უნდა იქცეოდე. არ ვიცი, თავად როგორ გრძნობს ამდენი გინებისა და ცემა-ტყეპის მერე თავს. ხან გააგდებენ, ხან გამოაგდებენ, – განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა მედიასთან საუბარში.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს.

მას განსაკუთრებით ის აშფოთებს, რომ მელია არათავაზიანად ელაპარაკება ქალებს. რამდენიმე დღის წინ ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს უცხო ბანოვანი მიახტა და დაჰკიოდა, პოლიციის ავტობუსს რომ ახტებოდი, ბაბუაშენის ურემი იყოო.

ქალბატონმა განაცხადა, რომ ის აპოლიტიკური იყო და აღნიშნა, რომ ქოცები მელიაზე უარესები იყვნენ, რადგან მას არ აკავებდნენ.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს ქალბატონი „ოცნებასთან“ დაახლოებული პირი იყო. თავად მელია ამბობს, რომ მას „ოცნებამ“ ზონდერი ქალები მიუსია. პაპუაშვილი ამ ქალის აპოლიტიკურობაზე თავს და სინდისს ვერ დებს, მაგრამ მელიას მაინც გმობს და კოლეგას თავზეხელაღებულს უწოდებს.

– რას ელაპარაკება უცხო ქალებსა და პოლიციელებს. გამაგებინეთ, რომელ სახელმწიფოში იქნება ეს თავზეხელგადასმული და ამ დონეზე მოთმენილი. თუ პასუხი ვერავის მოვთხოვოთ იმიტომ, რომ ის დეპუტატია, იმიტომ, რომ ჟურნალისტია და ა.შ. მაშინ იძალადონ პოლიციელებზე და რაც უნდა, ის აკეთონ. მგონი, ეს არ შეიძლება. პირველ რიგში, უნდა გააკონტროლოს, როგორ იწვევს ადამიანებს და რა პროვოკაციებს ჩადის. ყველაფრის წამომწყები მელიაა, რათა მერე დაპირისპირება მოხდეს და სალაპარაკო ჰქონდეს.

დეპუტატს თუ ღირსება და პასუხისმგებლობა არ გააჩნია და მარტო სხვის წყობილებიდან გამოყვანას გულისხმობს და სხვა გარიოს შარში, ეს რა დეპუტატის საქმეა. პარლამენტში მარტო იმიტომ მოხვიდე, რომ დებოში ატეხო და პარლამენტიდან გაგაგდონ, ესაა დეპუტატობა? მე სხვა პოზიცია მაქვს.

დეპუტატი იქნება თუ პროფესორი, ჩადენილ საქციელზე კანონის წინაშე უნდა აგოს პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს რა შთაბეჭდილება დარჩება? ამჟამად არ ვარ საქმის კურსში, რომ ნიკა მელიასთვის დეპუტატის მანდატის მოხსნა განიხილება. ადამიანი გამუდმებით ძალადობს და ალბათ, დადგება მანდატის მოხსნის საკითხი. მე, რასაკვირველია, მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარს დავუჭერ. მას არ უნდა ჰქონდეს დეპუტატის მანდატი და პასუხი უნდა აგოს მართლმსაჯულების წინაშე, როგორც კანონი გადაწყვეტს ისე, გააჩნია, რა წინადადებით შემოვა პროკურატურა, – აცხადებს პაპუაშვილი.

თავზეხელაღებულობაში დადანაშაულებულ მელიას იმუნიტეტის მოხსნის არ ეშინია. ამბობს, რომ თავზეხელაღებულები „ოცნების“ რიგებში არიან. მისი თქმით, უმრავლესობის დეპუტატებს ნუკრი ქანთარიას და ლევან გოგიჩაიშვილს ადამიანები ჰყავთ დაჭრილი.

ქვეყნის მთავარ კრიმინალად მელია შს მინისტრ გიორგი გახარიას ასახელებს. ეს უკანასკნელი პარლამენტში 21 დეკემბერს მიდის და დეპუტატების კითხვებს რიგგარეშე სხდომაზე

უპასუხებს.

დეკემბერში ნიკა მელია რომ სახიფათოა, ეს არაერთხელ დამტკიცდა. წელიწადის ამ დროს მას იოლად გამოჰყავს ხალხი წყობილებიდან.

გასულ წელს პრემიერის პოსტზე მყოფი კვირიკაშვილი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მან მედიის, მინისტრების და დეპუტატების თვალწინ დაიწყო გინება.

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს ირმა ინაშვილი გააბრაზა. თან ისე გააბრაზა, რომ ეს უკანასკნელი მას სთხოვდა, გვერდზე გავიდეთო.

16 დეკემბერს კი ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა საპატრულო პოლიციის შეფი და ამავე დროს ივანიშვილის ძმის ნათლული თემურ კუპატაძე გამოიყვანა მწყობრიდან. ქვეყნის მთავარი პატრული ისე გადაირია, რომ მელიას ჯიხვივით შუბლზე შუბლი ატაკა.

დიდი ალბათობით მელიამ შესაძლოა პარლამენტში მისულ გახარიასაც აუწეწოს ნერვები. ამ უკანასკნელს კი აქვს მშვიდი კაცის იმიჯი, მაგრამ მელიამ მაგაზე მშვიდი კვირიკაშვილი გადარია.

გია ნოდია: „პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარედ შეიძლება უმრავლესობისთვის მოულოდნელი კანდიდატი დაასახელოს“

იავო ნაცვლიშვილი

საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 2 დღეში ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურა უნდა დაასახელოს, ვინაიდან მოქმედ თავმჯდომარეს, თამარ ჟვანიას უფლებამოსილება ეწურება. ამის შემდეგ მას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თანამდებობის – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის დასახელება მოუწევს.

რა მოლოდინი არსებობს ამ მხრივ და როგორ აფასებს ზურაბიშვილის რამდენიმედღიან მუშაობას პრეზიდენტის რანგში? – ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი გია ნოდია საუბრობს:

– ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობა, რომელიც პრეზიდენტმა 2 დღეში უნდა დაასახელოს. რა მოლოდინი გაქვთ?

– გამოკვეთილი მოლოდინი არ მაქვს. იმიტომ, რომ სალომე ზურაბიშვილის არჩევანები მაინცდამაინც არ ექვემდებარება მკაფიო ლოგიკას, არ ვიცი, რა ნიშნით არჩევს ის ხალხს. როგორც ჩანს, ეს სუბიექტური ნიშანია, ვინ მოეწონება და ვინ არა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვიმსჯელოთ მისი წარსულით, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობით, ახლა უკვე არჩევანი ვისზეც გააკეთა – იგულისხმება ლაშა ჟვანია და დიმიტრი გაბუნია.

არ ვიცი, შესაძლოა, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდეს მისი არჩევანი ამ თვალსაზრისითაც.

– მათ შორის უმრავლესობისთვისაც?

– შეიძლება უმრავლესობისთვისაც მოულოდნელი იყოს. არ ვიცი, რამდენად ჩათვლის საჭიროდ უმრავლესობასთან რაიმე კონსულტაციას, ან მათთვის მისაღები კანდიდატურის შეთავაზებას.



– ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს იქნება პრეზიდენტის რანგში მისი პირველი სერიოზული გამოცდა?

– რა თქმა უნდა. კი ბატონო, ეს იქნება პირველი სერიოზული გამოცდა.

– უნდა ჰქონდეს თუ არა კონსულტაციები მესამე სექტორთან? ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ძალიან მნიშვნელოვანია.

– სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, ფორმალურად ევალება თუ არ ევალება კონსულტაციები. რომც არ იყოს ასეთი წესი მოქმედი, მე მგონი, აუცილებელია კონსულტაციების გავლა სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისას. მით უმეტეს, ეს ახლა აღარ ეხება მის შიდა შტაბს თუ შიდა აპარატს. სასურველია, რომ ეს კონსულტაციები მეტ-ნაკლებად ღიად ჩატარდეს, რათა საზოგადოებამ ნაწილობრივ მაინც იცოდეს, ვისთან გაიარა მან კონსულტაცია.

– ამის შემდეგ მას მოუწევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება. ამაზე რა პოზიცია გაქვთ?

– ზუსტად იგივე, რაც წინა საკითხზე. ასეთი ტიპის სერიოზული გადაწყვეტილებები მას არასდროს მიუღია. საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში, კი ბატონო, მოადგილეების, ელჩების დონეზე ალბათ მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებებს. აქაც იგივე მოლოდინებია, რომ შესაძლოა მოულოდნელობებიც იყოს.

– ეს კიდევ უფრო მძიმე სისტემაა, თუნდაც იმიტომ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ანა დოლიძე და ნაზი ჯანეზაშვილიც საუბრობენ, რომ იქ მაფიოზურ-კლანური სისტემაა. ამიტომ კიდევ უფრო მეტი გამოწვევები ხომ არ აქვს?

– ცხადია. ორივე შემთხვევაში სერიოზული გამოწვევები აქვს პრეზიდენტს და რთულია ისეთი ადამიანის მონახვა, რომელიც გინდა ცესკოს თავმჯდომარეობას, გინდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობას კარგად წარუძღვება. ამიტომ სერიოზული დაფიქრება და კონსულტაციები იქნება საჭირო. ვნახოთ, რას იზამს.

– მისი პრეზიდენტობის რამდენიმედღიანი პერიოდი როგორ შეიძლება შეფასდეს თქვენი მხრიდან?

– არ ვიცი, ვერაფერს ვერ ვიტყვი ახალს. უცნაური იყო პირველივე დღე და მისი არგადადგმული ნაბიჯი, როცა ამბასადორიალზე არ მივიდა. მოლოდინი იყო, რომ უნდა მისულიყო და, როგორც ჩანს, ეს მოულოდნელობა აღმოჩნდა, მისი დაკავებულობით ამის ახსნა მაინცდამაინც დამაჯერებელი არ არის. ის, რასაც აკეთებდა, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამბასადორიალის ღონისძიებაზე მისვლა და იქ გამოსვლა?!

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის რატომღაც მზად არ იყო ასეთი გამოსვლისთვის. უცნაურია ეს. თუ რამე იცის და რამე სფეროში ერკვევა, ეს საგარეო პოლიტიკაა, რადგან ის სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას იკავებდა. ამიტომ, ეს მაინცდამაინც კარგი სტარტი არ არის. დანარჩენი თვითონ ინაუგურაციაზე გამოსვლა იყო მხოლოდ, რომელიც დამაკმაყოფილებლად უნდა შევაფასოთ.

სხვა არ ვიცი. თავისი აპარატის დაკომპლექტებაშიც ისეთი ფიგურები ჩართო, რომლებმაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. აქედანაც ჩანს, რომ ის იქნება ისეთი პრეზიდენტი, რომელიც წინააღმდეგობრივ ნაბიჯებს გადადგამს.

– ალბათ დიმიტრი გაბუნიას გულისხმობთ, რომლის დანიშვნასაც გენდერული თანასწორობის უფლებადამცველები ეწინააღმდეგებოდნენ.

– განსაკუთრებით დიმიტრი გაბუნიას ვგულისხმობ, თუმცა უცნაურია ლაშა ჟვანიას სესხება თუ წამოყვანა საპატრიარქოდან, რაც გინდათ დავარქვათ. ესეც საკმაოდ არაორდინალური ნაბიჯი იყო.

– ელჩების კონფერენცია ახსენეთ და პრეზიდენტის იქ არმისვლა იმითაც ხომ არ შეიძლება აიხსნას, რომ რადგანაც უცხოეთის უბნებზე მან წააგო არჩევნები, ამის გამო სალომე ზურაბიშვილი ნაწყენია ელჩებზე?

– თუ ეგ იყო მოტივი, მაშინ მთლად ცუდად ყოფილა საქმე. თუ ეს მიზეზი იყო, მაშინ გამართლებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება. თუ ეგრეა, მაშინ პირველ რიგში და დამატებითი ფაქტორია იმისთვის, რომ შეხვდე ელჩებს და არა ის, რომ მათ არ შეხვდე.

– ათონელის რეზიდენცია ჯერ არ არის მზად. მარგველაშვილიც ამბობდა, რომ შევიდოდა ამ რეზიდენციაში, თუმცა შემდეგ გადაიფიქრა. ზურაბიშვილმაც ხომ არ შეიძლება გადაიფიქროს?

– მე არ ველი, რომ ასე მოიქცევა, მაგრამ სალომე ზურაბიშვილი ის ადამიანია, ვისგანაც მოულოდნელი ნაბიჯები მოსალოდნელი უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც მან ასე მკაფიოდ თქვა, რომ ავლაბრის რეზიდენციაში არ შევა, განსაკუთრებით გასაკვირი იქნება, მაგრამ გამორიცხვა, ცხადია, არაფრის არ შეიძლება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სალომე სამადაშვილი: „კირკიტაძე ხელისუფლების სამიზნეა“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტის დეპუტატი სალომე სამადაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იმ მიზეზებზე საუბრობს, თუ რატომ დატოვა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი და ნაციონალური მოძრაობა რას აპირებს სამომავლოდ.

– ქალბატონო სალომე, თქვენ მიერ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დატოვება კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან პიროვნული უთანხმოებით არის გამოწვეული თუ მართლაც არ არის სამუშაო გარემო?

– ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ მე, როგორც დეპუტატს, კომიტეტის წევრს მქონდეს შესაძლებლობა ვისაუბრო იმ საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია ოპოზიციისთვის. ჩვენ, ოპოზიციას, სისტემატურად არ გვეძლევა ამის შესაძლებლობა. მით უფრო ახალი რეგლამენტის მიზეზით, ჩვენ ლაპარაკის უფლებაც აღარ გვაქვს. ეს არის არაკოლეგიალური, არაეთიკური, პარლამენტარიზმის ტრადიციისთვის სრულიად შეუფერებელი საქციელი. შესაბამისად, მე არ მაქვს სურვილი იურიდიულ საკითხთა კომიტეტში საქმიანობის გაგრძელების. ეს არის ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი.

– მუშაობის გაგრძელებას ადამიანის უფლებათა კომიტეტში აპირებთ. იქ უფრო კომფორტულ გარემოს ელოდებით?

– ადამიანის უფლებათა კომიტეტს თავის მანდატით ევალება იმ საკითხებზე მუშაობა, რაც ამ ქვეყანაში დღეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის. ვნახოთ, როგორი სამუშაო ვითარება იქნება ამ კომიტეტში.

მე შევედი წინადადებით პარლამენტის ბიუროზე და სწორედ ბიურომ უნდა დააკმაყოფილოს ჩემი თხოვნა. ვნახოთ.

– თქვენი პარტიის წევრები კირკიტაძის დაკავებას პოლიტიკური ნიშნით მიღებულ გადაწყვეტილებას უწოდებენ. თქვენი პოზიცია როგორია? ის კადრები თუ ნახეთ, რომლებიც ტელევიზიებმა გაავრცელეს?

– ჩემი პოზიცია ასეთია: პირველ რიგში, კანონდარღვევის ჯაჭვი მეტწილად ხელისუფლებამ გამოიწვია. ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებამ, რომ ძალიან უხეშად დაერღვია გადაადგილების თავისუფლება. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის თავისუფალი გადაადგილება ამ ქვეყნის კონსტიტუციით არის დაცული. სწორედ ამან შექმნა ის დაძაბული ვითარება, რომელიც შეიქმნა და მოვლენები განვითარდა ისე, როგორც განვითარდა ველისციხეში.

რაც შეეხება დავით კირკიტაძეს, ის ნაციონალურ მოძრაობაში ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია. კირკიტაძე პარტიის რეგიონალურ სამსახურს განაგებს. ამიტომ, მისი როლი პარტიის საქმიანობასა და ფუნქციონირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. არჩევნების დროს იმ რეგიონმა, რომელსაც კირკიტაძე კურირებდა, კონკრეტულად რუსთავს ვგულისხმობ, ხელისუფლებას არჩევნები პირწმინდად მოუგო. საუბარია ორივე ტურზე.

შესაბამისად, რა თქმა უნდა, ის მნიშვნელოვანი სამიზნე არის ხელისუფლებისთვის.

– შს მინისტრი გახარია პარლამენტში წლიური მოხსენებით მიდის. მიხვალთ ამ შეხვედრაზე და რა შეკითხვას დაუსვამთ?

– რა თქმა უნდა, აუცილებლად დავესწრებით ამ სხდომას. ძალიან მწვავე შეკითხვებსაც დავუსვამთ ბატონ გახარიას. შეკითხვები გვაქვს მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მისი უწყების საქმიანობას ეხება. კონკრეტულად შეკითხვები გვექნება არჩევნებიდან დაწყებული, ის უშუალოდ კურირებდა სამეგრელოს, ვიცით, რაც ხდებოდა სამეგრელოში არჩევნების დროს.

ასევე, შეკითხვები გვექნება ინაუგურაციის დღეს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს იყო გახარიას უწყების შეცდომების შედეგი, რაც ყველამ ვნახეთ. ეს იყო მშვიდობიანი აქციისთვის ხელისშეშლის და ჩაშლის ძალიან ურცხვი, შეუფარავი მცდელობა.

– ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა თქვა, რომ სიტყვისა და გამოხატვის უფლება უნდა იყოს დაცული, მაგრამ არ ჩანდა, რომ მშვიდობიანად აპირებდა ამ აქციის ჩატარებას ოპოზიცია. ამაზე რას იტყვით? და იმ კადრების შეფასებაც საინტერესოა, როდესაც კირკიტაძე პოლიციელზე ძალადობს.

– ჩვენ არ შეიძლება წინასწარ ვიცოდეთ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუ აქციის მონაწილეებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, მშვიდობიანად გაეგრძელებინათ თავიანთი პროტესტი, მაგრამ მათ გზა ჩაუხერგეს. სწორედ ამას მოჰყვა ის მოვლენები, რომლებიც ადგილზე განვითარდა.

– ნაციონალური მოძრაობის შემდეგი აქტივობები რა იქნება? როგორ გააგრძელებს ის პოლიტიკურ პროცესს?

– სხვადასხვა მიმართულებით გავაგრძელებთ აქტივობებს. ყველა შესაბამის ტრიბუნას გამოვიყენებთ, პარლამენტში გვექნება ჩვენი პოზიციები დაფიქსირებული, გვექნება აქციები, სადაც გავაპროტესტებთ ამ ყველაფერს. ვიმოქმედებთ მანამ, სანამ ამის პოლიტიკური სივრცე გვრჩება. თუმცა, ხელისუფლებას სურს, რაც შეიძლება შეზღუდოს ეს სივრცე.

– რატომ, ქუჩაში სურს პროცესების გადატანა? ხელისუფლებას ქუჩა ხომ არ აწყობს.

– დღეს ხელისუფლებას აწყობს ოპოზიციის დასუსტება, ჩვენ მას ამის შესაძლებლობა არ უნდა მივცეთ.

კახი კალაძე „ოცნებიდან“ მიდის და კობახიძესთან ერთად ახალ პარტიას ქმნის

შორენა მარსაგიშვილი

ახალი წლების ზეიმების შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ამასთან დაკავშირებით განცხადება თავად ბიძინა ივანიშვილმაც გააკეთა რამდენიმე კვირის წინ.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, მმართველ პარტიას რამდენიმე ლიდერი გამოეყოფა და ისინი ცალკე პარტიას შექმნიან.

– „ოცნებაში“ უკვე კარგა ხანია იციან, რომ კახა კალაძე ახალი პარტიის შექმნას აპირებს. ამის გაკეთებას ის ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის აპირებდა. მაშინ გადაიფიქრა, ამჯერად მას ეს მყარად აქვს გადაწყვეტილი და 2020 წლის არჩევნებზე ის თავისი პარტიით წარდგება, – ამბობს ჩვენი წყარო.

კალაძე რომ ახალი პარტიის შექმნას აპირებდა, ამის შესახებ „ახალი თაობა“ 2015 წელს წერდა. 2015 წლის დეკემბერში კალაძე გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერს შეხვდა და მას პარტიის შექმნა შესთავაზა.

იმ დროისთვის „ოცნებაში“ კალაძის პოზიციები შერყეული იყო და მან თავისი თამაში მოინდომა. ცალკე თამაშმა აღარ მოუწია, რადგან პარტიაში მისი მთავარი კონკურენტი ღარიბაშვილი პრემიერობას ჩამოაცილეს. კალაძე „ოცნებაში“ დარჩა და პოზიციები გაიმყარა.

აქამდე კარგად მოდიოდა, მაგრამ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა მას პოზიციები შეურყია. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ივანიშვილი და „ოცნების“ სხვა ლიდერები არჩევნების პირველ ტურში განცდილ კრახს მას და ირაკლი კობახიძეს აბრალებენ.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, კახა კალაძე სწორედ ირაკლი კობახიძესთან ერთად აპირებს ახალი პარტიის შექმნას.

– ისინი ერთად შექმნიან პარტიას. კალაძეს ამისთვის საკუთარი ფული აქვს და მას სპონსორის ძებნა არ დასჭირდება. მათ პარტიისთვის უკვე შერჩეული აქვთ სახელი. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ პარტიას რამდენიმე ცნობილი ნაციონალიც შეუერთდება, – ამბობს ჩვენი წყარო.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო არ გამორიცხავს, რომ ამ პარტიის შექმნის უკან ივანიშვილი იდგეს.

– შესაძლოა ივანიშვილისგან არის ნაკურთხი ეს ამბავი. არ არის გამორიცხული, რომ კალაძე-კობახიძის პარტია იყოს მესამე ძალა. ისინი სერიოზულად ემზადებიან 2020 წლის არჩევნებისთვის. „ოცნებას“ ძალიან შეელახა იმიჯი და საჭიროა ახალი დასაყრდენი, – აცხადებს ჩვენი წყარო.

მისივე თქმით, ეს პარტია „ოცნების“ სატელიტი ექნება.

„ახალი თაობისთვის“ სხვა წყაროდან ცნობილი გახდა ისიც, რომ „ოცნების“ სატელიტებში შესაძლოა ალეკო ელისაშვილიც ვიხილოთ.

მან უკვე დააანონსა ახალი მოძრაობის შექმნა. გაერთიანდება თუ არა ის კალაძე-კობახიძესთან, ჩვენი წყაროსთვის ეს უცნობია.

ალეკო ელისაშვილი ამ ორეულს ძალიან მწვავედ აკრიტიკებს და მათი ერთად ყოფნა ერთი შეხედვით შეუძლებელია. თუმცა ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი მოსულა. აგერ მურმან დუმბაძე 2012 წელს ნაციონალებს წყევლიდა, მაგრამ ახლა ის მრევლს ნაციონალების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

❖ ❖ ❖

რამდენიმე დღის წინ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კალაძე და კობახიძე პარტიულ თანამდებობას დატოვებენ.

პირველი რადიოს ცნობით, პარტიის გენერალური და აღმასრულებელი მდივნის ცვლილებების შესახებ საუბარი ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ დაიწყო და საკითხის ინიციატორი თავად პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი იყო.

ამ თემაზე როგორც აღმასრულებელმა, ისე გენერალურმა მდივანმა არაერთი განცხადება გააკეთეს და როგორც კალაძე, ასევე კობახიძე ინფორმაციას უარყოფენ, ჩვენი ინფორმაციით კი უახლოეს მომავალში ცვლილებები განხორციელდება.?

ჯერჯერობით უცნობია, ვინ ჩაანაცვლებს პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტზე კობახიძეს, თუმცა, ამავე ინფორმაციის თანახმად, თუ კობახიძე პარტიის აღმასრულებელი მდივნის პოსტს დატოვებს, მან შესაძლოა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიც დატოვოს და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ადგილზე გადაინაცვლოს.

პირველი რადიოს ინფორმაციითვე, ამ საკითხზე შიდასახელისუფლებო კონსულტაციები მიმდინარეობს. ამ კომბინაციის განხორციელების შემთხვევაში კი პარლამენტის თავმჯდომარის ადგილი, შესაძლოა, ერთ-ერთმა ვიცე-სპიკერმა – გიორგი ვოლსკიმ ან თამარ ჩუგოშვილმა დაიკავოს.

„ოცნებიდან“ გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, კახა კალაძეს „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის პოსტზე რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოკა გუნცაძე ჩაანაცვლებს, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული და უშუალო კონტაქტი ბიძინა ივანიშვილთან ჰქონდა.

გიორგი ტყემალაძე: „მე როგორ უნდა შემეთავაზებინა ვინმესთვის ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურა?! ეს ხომ ლოგიკას არ ექვემდებარება“

– მე როგორ უნდა შემეთავაზებინა ვინმესთვის ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურა?! ეს ხომ ლოგიკას არ ექვემდებარება!

ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განუცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარეს ჟურნალისტებმა კითხვით მიმართეს, „ქართულ ოცნებაში“ განიხილებოდა თუ არა გიორგი ჯავახიშვილის კანდიდატურა ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე და ლობირებს თუ არა გიორგი ტყემალაძე ჯავახიშვილს, რომელიც მისი ნათესავია.

საკრებულოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ გიორგი ჯავახიშვილი მისი ნათესავია, თუმცა გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ არანაირ განხილვაში არ მონაწილეობდა და რომ ასეთი საკითხი არ დგას. „ვისი კანდიდატურა განიხილება,

ვერ გეტყვით. ჩემი ინფორმაციით, ჯავახიშვილი არ განიხილება. მე როგორ უნდა შემეთავაზებინა ვინმესთვის ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურა?! ეს ხომ ლოგიკას არ ექვემდებარება?! ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერც მივიღებ მაგ გადაწყვეტილებაში მონაწილეობას, – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

ია მეტრეველი: „დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი განაჩენი დადგებოდა“

ნონა ცაბაძე

სასამართლოში ბუტა რობაქიძის რამდენიმეწლიანი სასამართლო პროცესი, როგორც იქნა, დასრულდა. გურამ დონაძე სასამართლო დარბაზში იქნა დაკავებული. მას და სხვა პირებს 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ „ახალ თაობას“ ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი ესაუბრა.

– ქალბატონო ია, ამდენი წლის შემდეგ, როგორც იქნა, თქვენი შვილის მკვლელობის საქმეზე დადგა განაჩენი. რამდენად ობიექტურად აფასებთ მოსამართლის გადაწყვეტილებას და რას იტყვით ამ ყველაფერზე ამდენი წლის შემდეგ?

– მე მინდა პირველ რიგში საზოგადოებას მივულოცო ეს გამარჯვება. გუშინდელი გამარჯვება იყო სამართლიანობის დამკვიდრების დასაწყისი ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო ბრძოლა არა მარტო ჩემი, არამედ მთელი საზოგადოება ერთად ვიბრძოდით წლების მანძილზე და ვითხოვდით სამართლიანობის აღდგენას.

სწორედ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით შეიცვალა სააკაშვილის რეჟიმი და მისი ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო გავიდა და ბევრი წელი დასჭირდა ამ ყველაფერს, მაინც საბოლოოდ დადგა ეს დღე და ეს ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ჩემი ოჯახისთვის.

– განაჩენის შესახებ რას იტყვით?

– ძალიან სამართლიანი განაჩენი გამოიტანა მოსამართლე დავით მგელიაშვილმა. მის მიმართ მე არაერთი პრეტენზია მქონდა გამოთქმული მთელი წლების მანძილზე სასამართლო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. თუმცა ნამდვილად აღარა აქვს ამას მნიშვნელობა, იმიტომ, რომ მან გამოიტანა ისეთი სამართლიანი განაჩენი, რომელიც ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეებს მიუსაჯათ უმაღლესი სასჯელი.

ანუ იმ მუხლების მიხედვით, რაც მათ ჰქონდათ წარდგენილი, ეს იყო უმაღლესი სასჯელი, უბრალოდ, მოხდა ამნისტიის მუხლების შეხება და რამდენიმე წელი იქნა შთანთქმული. ამიტომ მათ გამოუვიდათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა და მიქაძეს გამოუვიდა 6 წლით.

– ეს წლები ადეკვატურია დანაშაულის?

– ჩემთვის ეს წლები სავსებით საკმარისია. საკმარისია იმისთვის, რომ გააცნობიერონ მათ თავისი დანაშაული, რომელსაც არც აღიარებდნენ და ოდნავ სინანულის გრძნობაც არ ჰქონდათ. ეს არის მნიშვნელოვანი იმით, რომ შემდგომში, მაღალჩინოსნები, რამდენი მთავრობაც არ უნდა შეიცვალოს, ეს იქნება მათთვის კარგი გაკვეთილი და მაგალითი, რომ არასდროს არ უნდა ჩაიდინოს არც ერთმა მაღალჩინოსანმა, მით უმეტეს, ძალოვან უწყებებში, ასეთი დანაშაული. სწორედ ამითაა ეს საქმე მნიშვნელოვანი.

– გურამ დონაძე დარწმუნებული იყო, რომ ის გამართლდებოდა ამ საქმეში, თუმცა ის სასამართლო დარბაზში დაიკავეს. ამას სერიოზული პროტესტიც მოჰყვა მისი ოჯახის წევრების მხრიდან. არ ელოდნენ?

– მისმა ახლობლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რასაც წარმოადგენენ. როგორი კრიმინალი ოჯახის წევრიც ჰყავდათ, თვითონაც ასეთები არიან. ისეთი ამბავი ატეხეს დარბაზში, გეგონება დახვრეტა მიუსაჯეს მათი ოჯახის წევრებს. მაშინ როდესაც 19 წლის ბავშვის სიცოცხლის მოსპობაზეა საუბარი და ისინი გასამართლებულები იქნენ კიდევ უარესი დანაშაულისთვის.

გარდა იმისა, რომ ბავშვს სიცოცხლე წაართვეს, ბანდიტად გამოაცხადეს და მთელი ფარსი და თეატრი მოაწყვეს იქ. ამ ყველაფრის რეჟისორი კი იყო დონაძე და ურცხვად ამტკიცებდა კიდევ, რომ არაფერ შუაში არ იყო. არადა ის იყო ყველაზე დიდი დამნაშავე იმაზე, იქ რა გაყალბებაც მოხდა. ის იყო რეჟისორი ამ ყველაფრის. არაერთ საქმეშია დონაძე, ყველა უბედურება თუ სადმე რამე ტრიალებდა, ყველგან დონაძის ხელი ერია!

– ანუ შესაძლოა სხვა დანაშაულებებიც ამოუტივტივდეს?

– მე არ ვიცი, რა ამოუტივტივდება, მაგრამ მე რისი მომსწრეც ვარ, ის იყო გირგვლიანის საქმეშიც, როდესაც გამოაცხადეს, სვანების დაჯგუფება იყოო. იქაც დონაძის ხელი ერია, თუმცა ყველა საქმიდან ძალიან იოლად გამოძვრა. ნავთლუღის ოპერაციაში, სამი უდანაშაულო ბავშვი რომ დახვრიტეს, იქ ბრძანდებოდა და კადრებში კარგად ჩანს, როგორ იცინის, ამ დროს მის თვალწინ უდანაშაულოდ დახოცილი ბავშვები ასვენია.

მოკლედ, დონაძე არის ძალიან დიდი ბოროტება და მას ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი. ეს სასჯელი მისთვის არა მარტო ბუტას საქმისთვის დადგა, ჩვენ პირნათელი ვართ ნავთლუღის ბიჭების წინაშეც. სწორედ მათ გამოც იმსახურებდა სასჯელს. ხუთი წელი დონაძისთვის ციხე ძალიან საკმარისია. ზოგადად ბევრად მეტი ეკუთვნის, მაგრამ როგორია ციხე და ხუთი წელი, ეს კარგად გამოჩნდება შემდგომ.

– ბოლო პერიოდში სასამართლო პროცესებზე კიდევ ხომ არ გამოიკვეთა რაიმე ახალი გარემოებები, რამაც კიდევ უფრო გაამყარა ბრალდების მხარის არგუმენტები?

– თავიდანვე იყო ეს საქმე გამოძიებული და ხელისგულზე იდო ყველაფერი. 82 მოწმე ადებდა მათ ხელს და ძალიან მყარი მტკიცებულებები იყო. ამის შემდეგ ბაქრაძეც ჩამოვიდა და მანაც ძალიან გაამყარა მტკიცებულებები. თორემ გარდა ბაქრაძისა, კიდევ ბევრი ძალიან სერიოზული მოწმე იყო ამ საქმეში.

მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი განაჩენი დადგებოდა. უბრალოდ, მე მეშინოდა, რომ მგელიაშვილს არ გამოეტანა მინიმუმი ამ დამნაშავეებისთვის სასჯელის. ხოლო ამ ამნისტიის მუხლების შემდგომ, შესაძლოა, ძალიან ცოტაღა დარჩენოდათ. სწორედ ამას ვნერვიულობდი.

– მინიმუმი რამდენ წელს ითვალისწინებდა?

– დონაძისთვის და სხვებისთვის მინიმუმი იყო 3-დან 7 წლამდე და მიქაძის იყო 7-დან 9 წლამდე. თუ არ მეშლება. უმაღლესი მიუსაჯა მიქაძის გარდა ყველას და ამნისტიის შედეგად გამოუვიდათ 5 წელი და თვეები. ეს იყო ჩემთვის ცოტა სანერვიულო, თორემ იმაში, რომ აუცილებლად იქნებოდნენ პასუხისგებაში მიცემული, ეჭვი ნამდვილად არ მეპარებოდა, რადგან ძალიან მყარი მტკიცებულებები იყო ამ საქმეში.

– თუ ელოდებით, რომ სხვა საქმეებზეც დადგეს სამართლიანი და ობიექტური განაჩენები? ხალხი ისევ უკმაყოფილოა, სამართლიანობა არ აღდგაო.

– რა თქმა უნდა, ჩემთვის გუშინდელი დღე იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მჯერა, რომ დაიწყება სამართლიანობის აღდგენა ჩვენს ქვეყანაში.

არის უამრავი გახმაურებული საქმე და ის საქმეები, რომლებზეც არ დამდგარა ჯერ განაჩენი, იმედი მაქვს, რომ ინტენსიურად დაიწყება ამ საქმეების ხელახალი გამოძიება და ყველაზე დადგება ობიექტური განაჩენი.

დროა, ქვეყანაში ერთხელ და საბოლოოდ დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა, რისი დაკვეთაც და მოთხოვნაც იყო საზოგადოებიდან.

გუბაზ სანიკიძე: „მკვლელის ვინაობა ცნობილია“

„ვერავის ვერასოდეს დაარწმუნებენ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა“

გულიკო ბალაძე

კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები საქართველოს მთავარ პროკურატურასთან მე-7 დღეა შიმშილობას აგრძელებენ.

– ზვიად გამსახურდია არის უხერხული თემა დასავლეთისთვისაც, რუსეთისთვისაც, აღმოსავლეთისთვისაც და სამხრეთისთვისაც, – აცხადებს „ახალ თაობასთან პარლამენტის ყოფილი წევრი გუბაზ სანიკიძე.

გუბაზ სანიკიძის განცხადებით, პირველი პრეზიდენტი არის მოკლული და ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ მოკლა.

გუბაზ სანიკიძის შეფასებით, საქართველოს სახელმწიფომ ახალი დამოუკიდებლობის წლების ათვლა ცუდი პრეცედენტებით დაიწყო.

– სახელმწიფომ ახალი დამოუკიდებლობის წლების ათვლა ცუდი პრეცედენტებით დაიწყო. კანონიერი ხელისუფლების დამხობით, შემდეგ კი პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციით. ზვიად გამსახურდიას მკვლელის ვინაობა ცნობილია, მაგრამ არც ერთ ხელისუფლებას მისი დაპატიმრების პოლიტიკური ნება არ გააჩნია, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ გუბაზ სანიკიძემ.

– ბატონო გუბაზ, პირველი პრეზიდენტის მკვლელობა დღესაც გამოუძიებელია. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– არა მარტო პირველი პრეზიდენტის მკვლელობა, არამედ ის საკითხი, რითაც დაიწყო სახელმწიფომ ახალი დამოუკიდებლობის წლების ათვლა, სავსე იყო ცუდი პრეცედენტებით – კანონიერი ხელისუფლების დამხობით და შემდეგ პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციით.

– მოგეხსენებათ, თავდაპირველად ჰქონდათ ვერსია, თითქოს ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. ამით უნდოდათ საქმე დაეხურათ, მაგრამ ვერ გაბედეს.

– ვერავის ვერასოდეს დაარწმუნებენ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა. გამორიცხულია. ვინც იცნობდა ზვიადს და ვინც არ იცნობდა, ყველამ ვიცით, რომ ის თავს არ მოიკლავდა მარტივი მიზეზის გამო, ის იყო მორწმუნე ქრისტიანი. მორწმუნე ქრისტიანი არ იკლავს თავს.

– ახლა უკვე სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით არის აღძრული, გადაკვალიფიცირდა მას შემდეგ, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ საპარლამენტო კომისიის მასალები მიაწოდა პროკურატურას. ბევრჯერ ითქვა, რომ ზვიად გამსახურდიას საქმე გამოძიებულია, მაგრამ საქმე გახსნილად არ ცხადდება.

– დიახ, ფაქტობრივად, მკვლელის ვინაობა ცნობილია, მაგრამ არც ერთ ხელისუფლებას პოლიტიკური ნება არ გააჩნია.

– რატომ არ არის პოლიტიკური ნება, რატომ ვერ დაიძლია ის ბარიერი, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ 27 წლის წინ, სახელმწიფო გადატრიალებით, ხოლო შემდეგ (1993 წლის 31 დეკემბერს) ზვიად გამსახურდიას მკვლელობით?

– გარედან, არა მარტო ჩრდილოეთიდან, არამედ სხვა მიმართულებიდანაც ერთობლივი მიუღებლობაა. ზვიად გამსახურდია არის უხერხული თემა დასავლეთისთვისაც, რუსეთისთვისაც, აღმოსავლეთისთვისაც და სამხრეთისთვისაც იმიტომ, რომ მაშინდელმა მსოფლიომ ვერ იგუა ახალი შამილი კავკასიაში. ამიტომ ლიკვიდირებული იქნა.

თუმცა, რაც მთავარია, მისი იდეების ლიკვიდაცია ვერ მოხდება. დღევანდელ ახალგაზრდობაში მერაბი და ზვიადი ძალიან პოპულარულია. ამას გეუბნებით, როგორც შვილების მამა, რომლებიც თინეიჯერობის ასაკში არიან.

როგორც ჩემი შვილების, ასევე ახალგაზრდობის ძალიან დიდ ნაწილში ზვიადი და მერაბი პოპულარულები არიან. ამიტომ ეს მარადიული თემაა. ეს ზვიადსა და მერაბსაც არ დაუწყიათ. საერთოდ, ფარნავაზმა და ქუჯიმ დაიწყეს. ასე წყვილად მოდიოდნენ.

ასეთი წყვილი იყო ილია და აკაკი. ასეთი წყვილი იყო ზვიადი და მერაბი. ასე გაგრძელდება. ამას ვერავინ მოერევა, ვერც ოლიგარქია, ვერც ვაჭრები, ვერც ბარიგები, ვერც ყაჩაღები.

– ვერც მსოფლიო პოლიტიკოსი?

– სხვათა შორის, იმ მსოფლიო პოლიტიკოსმა, ედუარდ შევარდნაძემ ყველაზე მეტად იცოდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფასი. სხვა საკითხია, რატომ მტრობდა. მათი ფასი იცოდა ნამდვილად.

– სულ გვესმოდა, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით კვალი შევარდნაძემდე მიდიოდა.

– იცით, როგორ არის? ჩვენ უნდა ვიმარჩიელოთ. მთავარია, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ მკვლელის ვინაობა. ეს ოფიციალურად უნდა გაცხადდეს. შემდეგ უნდა გაირკვეს, შევარდნაძემ მოკლა თუ სხვა ქვეყანამ მოკლა, ან ვიღაცამ მოკლა, რომ შევარდნაძეს დაბრალებოდა.

რა მოხდა, გამოძიებამ უნდა თქვას. სხვა ყველაფერი ტექნიკური საკითხია. ამის გარკვევა პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. პირველი პრეზიდენტი არის მოკლული და ქართველმა ხალხმა არ იცის, ვინ მოკლა.

საბოლოოდ, არ ვიცით, ილია ჭავჭავაძე ვინ მოკლა. ორი კაცის ვინაობა ვიცით, მესამე კაცის ვინაობას რატომღაც მალავენ. სერგო ორჯონიკიძეა. იგივე პრემიერ-მინისტრ ჟვანიას საქმეც გამოუძიებელია. მოკლეს თუ მართლა მოიწამლა, ხომ უნდა ვიცოდეთ.



ქვეყანა, რომელიც სულ ასე გაურკვევლობაშია, ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევს. ქვეყანა ფეხზე არ დგას. ჩვენ ახლა დავცურავთ, ტალახში დავცურავთ.

– იმის შემდეგ, რაც კონსტანტინე გამსახურდიამ საპარლამენტო კომისიით გარკვეული გამოძიება ჩაატარა და მის საფუძველზე პროკურატურამ გადააკვალიფიცირა მკვლელობად, რატომ უნდა იყოს ათვლა მკვლელობის დღიდან 1993 წლის 31 დეკემბრიდან?

– ეგ იურიდიული საკითხებია, რომელშიც მე ძლიერი არ ვარ, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. მე ამ საქმეს პოლიტიკურად ვაფასებ. როგორც ისტორიკოსი, ვიტყვი, რომ ისტორიას ქართველ ხალხთან დიდი შეკითხვები აქვს.

– როგორ წარმოგიდგენიათ ამ პრობლემის დაძლევა?

– პოლიტიკური ნებაა საჭიროა, მაგრამ არ არს დამალული, რომ არ გაცხადდეს, რაც უნდა მალონ. ისტორია ძალიან დაუნდობელია. ისტორია შურისმაძიებელიც არის.

გიგა ბუკია: „სამართლიანობის დამყარება დაიწყო“

„კირკიტაძის პოლიტიკური ნიშნით დაკავება ხელისუფლებას არ სჭირდებოდა“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე ზოგიერთ პროცესზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატს, „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას.

– ნაციონალების წარმომადგენელი დავით კირკიტაძე თქვენი ოპონენტების მხრიდან მიჩნეულია პოლიტდევნილად.

– ამ შეფასებებით გრძელდება ის საშინლად აგრესიული კამპანია, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდში და განავითარა არჩევნების შემდეგ. განსაკუთრებით მათ თავი გამოიჩინეს 16 დეკემბერს.

დავით კირკიტაძეს კახეთში ჩადენილ აგრესიულ ქმედებებს ედავებიან. დეტალებს გამოძიება და სასამართლო გაარკვევს. თუმცა, საზოგადოებამ ბევრი კადრი ვნახეთ, სადაც კირკიტაძე არასწორად იქცეოდა. კირკიტაძის პოლიტიკური ნიშნით დაკავება ხელისუფლებას რისთვის უნდა დასჭირვებოდა! ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა და ლიდერიც არ არის, რომ ვინმემ ამას პოლიტიკური სარჩული მოუძებნოს.

– ნაციონალების ლიდერი ისევ საკაკაშვილია?

– რასაკვირველია. სხვები ცდილობენ, საკაკაშვილს თავი მოაწონონ. დარწმუნებული ვარ, რომ კირკიტაძემაც ამის გამო იაქტიურა. ეტყობა, უნდა ადგილი მომავალ საარჩევნო სიაში, ან სხვა თბილი ადგილი.

– სხვა ლიდერები არ ჰყავთ?

– ლიდერი ერთი ჰყავთ. არც ვაშაძე, არც მელია და არც გოცირიძე არ არიან საკაკაშვილისგან დამოუკიდებლები. ეს ადამიანები პრინციპულობით არც საკაკაშვილის გარეშე გამოირჩეოდნენ და არც საკაკაშვილთან ყოფნის დროს. ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი საკაკაშვილისა და მისი მომხრეების რეიტინგია.

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მიღებული 780.000 ხმა მხოლოდ საკაკაშვილის ხმები ვერ იქნება.

– აქ სხვა ფაქტორები გაჩნდა. ჯერ ერთი, ამ დროს საკაკაშვილის ქოლგას შეეფარნენ ხელისუფლების სხვა პოლიტიკური მოწინააღმდეგეები. მეორეც, ხალხის ნაწილი მოტყუვდა.

– რით მოტყუვდა?

– ნაცმოძრაობის კანდიდატი ურცხვად ჰპირდებოდა მოქალაქეებს 400-ლარიან პენსიას.

– საზოგადოებას ესმის, რომ ეს არარეალურია.

– როგორც ჩანს, ყველას არ ესმის. საქმეში ჩაუხედავი პენსიონერების ნაწილი ამ სატყუარას წამოეგო. საუბედუროდ, სახელმწიფოს არ აქვს პენსიის ამ დონემდე გაზრდის საშუალება. სახელმწიფო აპარატზე რომ ხელფასები არ გავცეთ, ეს მაშინაც კი შეუძლებელი იქნება. ამომრჩევლის ნაწილი მოტყუვდა, ნაწილი ხელისუფლებაზეა გაბრაზებული და ამის გამო ხმა ნაცმოძრაობის კანდიდატს მისცა.

– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ არ გაჩერდება და ხელისუფლებაზე პრესინგს არ შეწყვეტს.

– ნუ გაჩერდებიან. ეს უკეთესი იქნება.

– უკეთესი რა თვალსაზრისით იქნება?

– ისინი უფრო უკეთესად გამოამჟღავნებენ თავიანთ ნამდვილ სახეს. რაც უფრო ხშირად ილაპარაკებენ ტელეეთერებით, რაც უფრო მეტად იყვირებენ მიტინგზე, მით უფრო კარგად ჩამოიხსნიან ნიღაბს. ხალხი მიხვდება, ვინ არის, მაგალითად, ვაშაძე.

– რომელი ვაშაძე? მათ ორი ვაშაძე ჰყავთ.

– ორივე. არც ერთი გამოთქვამს თავის აზრებს და არც – მეორე. ისინი სხვებივით საკაკაშვილის რუპორები არიან. სადაც უნდათ, იქ შეიკრიბონ. ჩვენთან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა.

– ასე ყველა არ ფიქრობს. 16 დეკემბრიდან მოყოლებული, ხშირია განცხადებები იმაზე, რომ დაირღვა შეკრებისა და გამოხატვის უფლება.

– ოპოზიციის ლაშქარს მიეცა შეთავაზება, სხვა გზით ჩასულიყო და გაემართა თავისი შეკრება. ნაცაქტივისტებმა ერთი ამბავი ატეხეს. აშშ-ში რომ ინაუგურაციის დროს აქტივისტებმა იმ ადგილზე შესვლა და პროტესტი მოითხოვონ, ამას ვინმე დაუშვებს? ჩვენ ხომ სახელმწიფო ვართ და უცხოელი მაღალი რანგის სტუმრების უსაფრთხოება ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებაა!

უცხოელმა ელჩებმაც აღნიშნეს, რომ მართალია, გამოხატვის უფლება არსებობს, მაგრამ ხელისუფლებასაც აქვს თავისი ვალდებულებები. იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ საკითხში ნაციონალების მხარეს დგანან, ეს უნდა შეიგნონ. ოპოზიციაში ჩვენც ვიყავით. 2008, 2010 წლებში და სხვა დროსაც გაგვიმართავს საპროტესტო აქციები, მაგრამ ზღვარს არ გადავსულვართ და პოლიციელებს არ შევტაკებივართ.

– ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკაკაშვილის დროინდელი სხვა ძალოვნებიც დაკავეს. საზოგადოების ნაწილში გაჩნდა განცდა, რომ სამართლიანობის დამყარება დაიწყო.

– სამართალი ურმით დადისო, სწორი გამოთქმაა. ხანგრძლივი სასამართლო გარჩევის შემდეგ განაჩენი გამოიტანეს. არაადეკვატური იყო ამაზე რეაქცია – ისინი, ვინც მონაწილეობდა 19 წლის უდანაშაულო ბავშვის მკვლელობაში, აქეთ გადმოვიდნენ შეტევაზე.

ეს განაჩენი სიგნალია ყველასთვის, არა მარტო ნაციონალებისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ მძიმე დანაშაული არავის შერჩება. სამართლიანობა აუცილებლად დამყარდება, რაც მეტ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას მოიტანს.

ქანა ზასეევა: „ოსები სიზმრებს რუსულ ენაზე ვხედავთ“

ოსები სიზმრებს რუსულ ენაზე ვხედავთ, – ამის შესახებ ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო კულტურის მინისტრმა ჟანა ზასეევამ გამოცემა „სპუტნიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– ოსეთმა უკვე ერთხელ აირჩია რუსეთი და ჩვენ ამ გზას არ გადავუხვევთ. 2008 წელს ჩემი შვილის და სხვა ბავშვების გვერდით რუსი ჯარისკაცები დადგნენ. მათ დაიცვეს ჩემი ხალხი და სამშობლო. ჩვენთვის, ოსებისთვის რუსულ ენაზე სიზმრები ნორმალური მოვლენაა. ჩვენ ვხედავთ სიზმრებს რუსულ ენაზე. მთელი ცხოვრება სახლში რუსულად ვსაუბრობთ. მე ვამაყობ ჩვენი ხალხით, – განაცხადა დე ფაქტო მინისტრმა.

დიმიტრი ცქიტიშვილი: „პირადად მე არჩევანს დიმიტრი გაბუნიაზე არ შევაჩერებდი“

„პირადად მე არჩევანს დიმიტრი გაბუნიაზე არ შევაჩერებდი“ – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა დიმიტრი ცქიტიშვილმა სექსუალური შევიწროების კანონპროექტის შესახებ მოწყობილ სამუშაო შეხვედრაზე განაცხადა.

– რამდენად დავნიშნავდი თუ არა მე დიმიტრი გაბუნიას, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად, გეტყვით, რომ მე არ დავნიშნავდი. საპარლამენტო მდივანის არჩევა პარლამენტის პრეროგატივა არ არის და, შესაბამისად, კანდიდატურის შეფასება ჩვენი მხრიდან არასწორი იქნებოდა. თუმცა, პირადად მე არჩევანს გაბუნიაზე არ შევაჩერებდი, – განაცხადა დიმიტრი ცქიტიშვილმა.

ადვოკატი დიმიტრი გაბუნია პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საპარლამენტო მდივნად 18 დეკემბერს დანიშნა. დანიშვნამდე ფემინისტურმა გაერთიანებამ „ქალთა მოძრაობამ“ განცხადება გაავრცელა და სალომე ზურაბიშვილს კანდიდატურაზე უარის თქმისკენ მოუწოდა. ფემინისტური გაერთიანების უკმაყოფილება დიმიტრი გაბუნიას იმ განცხადებამ გამოიწვია, რომლითაც ის ზვიად დევდარიანის წინააღმდეგ სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით გამოთქმულ ბრალდებებს გამოეხმაურა.

მესამე კვარტალში მშპ-ს ზრდა მშენებლობის შენელებამ შეაფერხა

2018 წლის III კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა მიმდინარე ფასებში 10.587 მლრდ ლარი შეადგინა. წლიურ ჭრილში 3.7%-იანი ზრდაა.

სამი კვარტალის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,8 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (19,9 პროცენტი), ტრანსპორტი (16,2 პროცენტი), საფინანსო საქმიანობა (15,0 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (13,4 პროცენტი), კავშირგაბმულობა (8,9 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (8,6 პროცენტი), სასტუმროები და რესტორნები (7,4 პროცენტი), სამთომოპოვებითი მრეწველობა (6,2 პროცენტი), პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ (5,9 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა (3,8 პროცენტი).

კლება დაფიქსირდა მშენებლობაში (-9,2 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობაში (-2,9 პროცენტი) და დამამუშავებელ მრეწველობაში (-2,3 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (18,1 პროცენტი) და მრეწველობა (17,0 პროცენტი) შემდეგ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (11,5 პროცენტი), მშენებლობა (9,4 პროცენტი), სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა (8,4 პროცენტი), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (7,9 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (6,3 პროცენტი), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (5,7 პროცენტი).

GBC

ხატია დეკანოიძე: „სასამართლოსგან ობიექტურ გადაწყვეტილებას არ ველოდები, რადგან საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს“

– მე პირადად, სუბიექტურად გეტყვით და ჩემი მეგობრებიც ალბათ, ამ აზრზე არიან, რომ სასამართლოსგან ობიექტურ გადაწყვეტილებას არ ველოდებით, რადგან საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას ხატია დეკანოიძემ გურჯაანის რაიონულ სასამართლოსთან განაცხადა.

მისი თქმით, კირკიტაძის უფლებადამცველები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ სასამართლომ ობიექტური განაჩენი გამოიტანოს. „ის ადამიანები, რომლებიც დათოს იცავენ, ყველაფერს გააკეთებენ და გავაკეთებთ იმისთვის, რომ ობიექტური განაჩენი დადგეს. ხელისუფლების უკანონო ქმედება მაშინ დაიწყო, როცა პოლიციამ უკანონოდ გადაკეტა გზა, ჩახერგა ავტობუსით, რომელსაც სიმბოლიკის არანაირი განმსაზღვრელი არ ჰქონდა, რომ ის მწვანე ავტობუსი პოლიციას ეკუთვნოდა. პოლიციის შესახებ კანონში პირდაპირ წერია, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, რომელიც ეკუთვნის პოლიციას, უნდა ჰქონდეს განმსაზღვრელი სიმბოლიკა იმისთვის, რომ ადამიანებმა იდენტიფიცირება მოახდინონ, – აღნიშნა დეკანოიძემ.

არქიტექტორებს სერტიფიცირება მთელი ქვეყნის მასშტაბით დასჭირდებათ

არქიტექტორთა სერტიფიცირების საკითხების რეგულირების შესახებ იმსჯელა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან არსებულმა სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭომ გუშინ გამართულ სხდომაზე.

თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა ნათია ლატარიამ არქიტექტორთა სერტიფიცირების კონცეფცია წარადგინეს. დოკუმენტი მოიცავს არქიტექტურული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის პროფესიონალიზმის შეფასებისა და აღიარების კრიტერიუმებს, სერტიფიკატის სახეებს, სერტიფიცირების პროცესს სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

დედაქალაქის მერიის პოზიციაა, რომ ეს საკითხი თბილისის ფარგლებში მოწესრიგდეს, თუმცა, არქიტექტურული კავშირის მოსაზრებით, არქიტექტორთა სერტიფიცირება მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა განხორციელდეს. რადგან მანამდე, ვიდრე ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არ შეიქმნება ცენტრალური საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით მართავს და გააკონტროლებს ამ პროცესს, სწორედ მერიაა პასუხისმგებელი პროცესების სწორად წარმართვაზე.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, რომან კაკულიას განცხადებით, არქიტექტურული საქმიანობის შესახებ დიდი ხანია მუშაობს პროფესიული საზოგადოება.

– წინასწარი განხილვისთვის რაც იყო საჭირო ინფორმაცია, მივიღეთ და მხარეებს შორის კომუნიკაციაც შედგა. პროცესი იმ დონემდეა მისული, რომ უკვე შესაძლებელია თავად ინიციატივაზე, იმ ტექნიკურ საკითხებზე ვიმსჯელოთ, რა როგორ გავაკეთოთ და მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რაც საშუალებას მოგვცემს მაქსიმალურად კარგ შედეგს მივაღწიოთ, – განაცხადა კაკულიამ.

ბპნ

უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია — „რუსული სამყაროს“ იდეის ჩამონგრევის დასაწყისი

რა იქნება შემდეგ?

15 დეკემბერს უკრაინის პრეზიდენტმა კიევის ცენტში, სოფიას ტაძრის წინ შეკრებილ მრევლს ისტორიული გადაწყვეტილება ამცნო – საეკლესიო კრებამ უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესია ცნო!

მსოფლიო პატრიარქის, ბართლომეს, ინიციატივით გამართულ გამაერთიანებელ კრებას პეტრო პოროშენკოსთან ერთად, უკრაინის მთავარეპისკოპოსი ფილარეტი ესწრებოდა.

კრებას, ასევე, სამი ეკლესიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

აქედან ორი – კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია – კრებაზე მღვდელმთავრების სრული შემადგენლობით მივიდა. მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი ეკლესიიდან კი კრებას მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსი ესწრებოდა.

კრებაში მონაწილეობა მღვდლებმა და საერო პირებმაც მიიღეს. ჯამში, კრებას სულ 192 ადამიანი დაესწრო, მათ შორის, 64 ეპისკოპოსი, 64 მღვდელი და 64 საერო პირი.

სოფიას ეკლესიის წინ შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანი პოროშენკოს მიმართვას აღფრთოვანებით შეხვდა. ამავე დღეს დაამტკიცეს ახალი საეკლესიო წესდება, რომლის თანახმადაც, უკრაინის ეკლესიის წმინდა სინოდს 12 წევრი ეყოლება.

გამაერთიანებელ კრებაზე ახალ წინამძღოლად ფარული კენჭისყრით პერიასლავისა და ბილოცერკოვის მიტროპოლიტი ეპიფანე აირჩიეს. იგი 39 წლის არის და ერისკაცობაში მისი სახელი სერგეი დუმენკო იყო.

ახალი მწყემსმთავარი უფრო ადრე ახალი კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი იყო და ამავე ეკლესიის პატრიარქის, ფილარეტის, მხარდაჭერით სარგებლობდა. ამასთან, მიტროპოლიტი ეპიფანე კიევის მართლმადიდებლურ-თეოლოგიურ აკადემიაში ღვთისმეტყველებისა და ფილოლოგიის დისციპლინების პროფესორია.

გადაწყვეტილება მიღებულია. 6 იანვარს მიტროპოლიტი სტამბოლში გაემგზავრება, სადაც კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი მას ავტოკეფალიის ტომოსს გადასცემს და სწორედ ეს გაერთიანებული ეკლესია იქნება აღიარებული მსოფლიო საპატრიარქოს მიერ.

კრების თანახმად, უკრაინაში არსებული ტაძრები მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციიდან გამოვიდა.

ადგილობრივი მედია ასევე წერს, რომ ტაძრები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზეა, უკრაინის ეკლესიის საკუთრება გახდება.

„ქონება, რომელიც ამ ქვეყნის ტერიტორიაზეა, ეკუთვნის ამ ქვეყნის კანონიკურ ეკლესიას – ახლადგამოცხადებულ უკრაინის ეკლესიას“, – წერენ უკრაინულ მედიაში.

ასე რომ, კონსტანტინოპოლმა უკრაინის ახალი ეკლესია ოფიციალურად უკვე აღიარა და ის ევქარისტულ კავშირში მოიხსენია.

მსოფლიო საპატრიარქომ კიევის საპატრიარქოს კანონიკურობის შესაძლებლობა ჯერ კიდევ ოქტომბერში, სტამბულში ჩატარებული ლიტურგიის დასრულების შემდეგ გაახმოვანა, როდესაც პატრიარქმა ბართლომემ განაცხადა, რომ „უკრაინის უფლებაა, მიიღოს ავტოკეფალია. კონსტანტინოპოლს აქვს უფლება, მიანჭოს ის ახალ მართლმადიდებელ ეკლესიებს“. ამით მან უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა.

პატრიარქმა ბართლომემ ასევე ბრძანა, რომ უკრაინაში მის მიერ განხორციელებული ქმედებები ათწლეულების განმავლობაში ეკლესიებს შორის გაჩენილი ბზარის გამთელებას ისახავს მიზნად, რაც თავის მხრივ, უკრაინული საზოგადოების გამთლიანებას ხელს შეუწყობს და საეკლესიო მრევლის რიგებში იმ მილიონობით უკრაინელის დაბრუნებას უზრუნველყოფს, რომლებიც წლების განმავლობაში ამ შესაძლებლობას მოკლებული იყვნენ.

❖ ❖ ❖

როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნულ ფაქტს მოსკოვის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში უკვე განაცხადეს, რომ „ასეთმა ქმედებებმა, შესაძლებელია, ეკლესიის გაყოფა გამოიწვიოს“. მათ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ევქარისტიული კავშირი გაწყვიტეს. მოსკოვის ეკლესიამ პატრიარქ ბართლომეს ლოცვებში მოხსენიებაც კი შეწყვიტა.

„კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაწყვეტილებამ, უკრაინის ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭოს, შესაძლოა, სისხლისღვრა და ძალადობა გამოიწვიოს“, – ასე გამოეხმაურა ისტორიულ მოვლენას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი, აღმოსავლეთ ამერიკისა და ნიუ-იორკის მიტროპოლიტი ილარიონი.

„ეს არის კონსტანტინოპოლის, ე.წ. მსოფლიოს პატრიარქის სავსებით არაკანონიკური ქმედება, რომელიც ყველანაირ საეკლესიო წესს არღვევს. მისი ქმედება უკრაინაში მორწმუნეებს შორის არსებულ დაპირისპირებას მხოლოდ გააღრმავებს. შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს არის უკრაინისა და რუსეთის ერების კიდევ უფრო დაშორების პოლიტიკური გზა“, – განაცხადა მღვდელთმსახურმა.

მან კონსტანტინოპოლის პატრიარქს უკრაინის ეკლესიასთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილების გაუქმებისკენ მოუწოდა.

რუსეთის საპატრიარქომ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინული ეკლესიის 2 ეპისკოპოსი, რომლებიც 15 დეკემბერს საერთო კრებას დაესწრნენ, სქიზმატებად გამოაცხადა. საგანგებო სინოდის სხდომაზე მათ მღვდელმთავრობა ჩამოართვეს და მსახურება აუკრძალეს.

მოსკოვის სინოდმა მსგავსი გადაწყვეტილება სხვა სასულიერო პირებთან მიმართებაშიც მიიღო – გამაერთიანებელ კრებაში მონაწილე ყველა პირმა მიტროპოლიტების ბედი გაიზიარა.

ფაქტია, მოსკოვის საპატრიარქოს ზეწოლის შედეგად, უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის აღიარება დღემდე ვერცერთმა საპატრიარქომ ვერ გაბედა.

რა იქნება შემდეგ?

❖ ❖ ❖

უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის რუსული ორბიტიდან გასვლით რუსეთი, დიდი ალბათობით, უკრაინის მართლმადიდებელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე გავლენას დაკარგავს, რაც, თავის მხრივ, მოსკოვს შეასუსტებს. ასევე, შესუსტდება მისი პოტენციალი ეკლესიის საკუთარი საზიანო მიზნებით გამოყენების თვალსაზრისითაც.

კრემლის მიერ ცოტა ხნის წინ გაჟღერებული განცხადებებიდან გამომდინარე, რუსეთი შეეცდება, ზეწოლა მოახდინოს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებზე, რათა უარყოს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამის საფუძვლად კი განაცხადოს, რომ მსოფლიო პატრიარქს გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღების ძალაუფლება არ გააჩნია, რომ მას არ შეუძლია სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების შიდა საქმეებში ჩარევა მათი და ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრების თანხმობის გარეშე.

ამრიგად, რუსეთი, სავარაუდოდ, თვლის, რომ სხვა ეკლესიების მხარდაჭერის მოპოვებას შეძლებს, ის ცდილობს, სათავისოდ გამოიყენოს მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ „მსოფლიო პატრიარქის ძალაუფლება იზრდება და ის იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც, შესაძლოა, მიუღებელი აღმოჩნდეს სხვა ეკლესიების ლიდერებისთვის“.

ამის დასტური ბოლოდროინდელი მოვლენებია. 2018 წლის აპრილის შემდეგ, უკრაინის საკითხზე მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილარიონ ალფეევმა აღმოსავლეთის პატრიარქებთან რამდენიმე ტურნე მოაწყო. ის 15 ნოემბერს ალექსანდრიის ეკლესიას სტუმრობდა, 17 ნოემბერს – ანტიოქიას, 19 ნოემბერს – კვიპროსს.

ცნობილი ხდება, რომ 29 ნოემბერს მოსკოვის საპატრიარქომ ანტიოქიის საპატრიარქოს სირიის ომისას დანგრეული ტაძრების აღსადგენად ფულადი დახმარებაც კი გაუგზავნა, მოსკოვის საპატრიარქოს თანამშრომლები 7 ნოემბერს ბულგარეთის ეკლესიას, 15 ნოემბერს ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიებს, ხოლო 23 ნოემბერს ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიას სტუმრობდნენ.

ვიცით, რომ მიმდინარე წლის 10 დეკემბერს მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი თბილისშიც ჩამობრძანდა.

ვიზიტის ოფიციალურ მიზეზად მოსკოვის საპატრიარქომ საქართველოს საპატრიარქოსთვის წმ. აღმსარებლის, იღუმენ თამარ მარჯანიშვილის წმინდა ნაწილების ჩამოსვენება დაასახელა, თუმცა, თავიდანვე ცხადი იყო, რომ რუსული ეკლესიის მიზანი მხოლოდ წმინდა ნაწილების ჩამოსვენება არ უნდა ყოფილიყო.

მართლაც, საქართველოს საპატრიარქომ, ოფიციალური საიტის მეშვეობით, მრევლს მალევე შეატყობინა მიტროპოლიტის სტუმრობის ნამდვილი მიზეზი.

საპატრიარქოს განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „გამართულ შეხვედრაზე მეუფე ილარიონმა შეშფოთება გამოხატა უკრაინის პრობლემების გამო და საქართველოს ეკლესიას გადმოსცა საბუთები, სადაც დაფიქსირებულია რუსეთის ეკლესიის პოზიცია“.

„სანამ არ მოხდება საკითხის შესწავლა და საკითხში ჩართული ეკლესიების მხრიდან პოზიციათა საბოლოო დაფიქსირება და მათი სინოდალური განხილვა, მანამდე საქართველოს ეკლესია თავს შეიკავებს შეფასებისგან“, – ასე უპასუხა რუს იერარქს საქართველოს საპატრიარქომ.

სხვათა შორის, „აფხაზეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ“ მოსკოვს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. გავრცელებულ განცხადებაში მღვდელი აპლია, თავის თანამოაზრეებთან ერთად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უცხო საპატრიარქოს ტერიტორიაზე შეჭრაშიც ადანაშაულებს, ასევე, ბრალს სდებს საეკლესიო კანონების უგულებელყოფასა და მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის პრინციპების დარღვევაში. იგი დაუშვებლად მიიჩნევს უკრაინის ავტოკეფალიას. ადანაშაულებს მსოფლიო პატრიარქს იმ ყველაფერში, რასაც მოსკოვის საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე, სწორედ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში, თავად ახორციელებს.

არავინ იცის, შეძლებს თუ არა მიტროპოლიტი ილარიონ ალფეევი მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მხარდაჭერის მოპოვებას, ერთი კი ცხადია მოვლენების ასეთი განვითარებიდან – რუსეთი ვეღარ შეძლებს ისტორიის შემობრუნებას.

❖ ❖ ❖

უკანასკნელ 200 წელს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ იმპერიების ნგრევას ეროვნული სახელმწიფოების და ეროვნული ეკლესიების აღმოცენება მოჰყვა. უკრაინა ერთ-ერთი ყველაზე დიდი მართლმადიდებელი მრევლის მქონე ქვეყანაა, რომლის ეკლესიაც დღემდე ბევრი უკრაინელისთვის არ იყო დამოუკიდებელი.

დამოუკიდებელი ეკლესია, ეროვნული ღირსების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია. ის ასახავს ქვეყნის ეროვნულ ისტორიას, კულტურას და ენას. ამასთან, საზოგადოებას ევროპის ქვეყნების ოჯახის წევრობის განცდას უჩენს.

სწორედ ამიტომ, დღეს უკრაინის მართლმადიდებელი მოქალაქეების უმრავლესობის სურვილით მოხდა ის, რაც მოხდა!

ახლა კი სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს გააჩნიათ უნიკალური შესაძლებლობა, მხარი დაუჭირონ კიევს იმ ძალისხმევაში, რომელიც უკრაინის ევროპის წევრობას ხელს შეუწყობს.

საკუთარი დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიით ევროპაში ინტეგრაცია მნიშვნელოვნად გააძლიერებს ევროპის მართლმადიდებელ მრევლს და გამოაჩენს მის უნიკალურ და მნიშვნელოვან წვლილს ევროპის განვითარების კუთხით.

უკრაინის რელიგიური კულტურა და მისი წარმატებები რელიგიური პლურალიზმის მხარდაჭერისა და რელიგიათშორისი დიალოგის დამყარების თვალსაზრისით, უკრაინის ძლიერ მხარეებს წარმოადგენს.

უკრაინის ხელისუფლებამ ქვეყნის მიერ რელიგიური თავისუფლებისადმი პატივისცემის ხაზგასმით, ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ, კიდევ ერთხელ დადო პირობა, რომ ნებისმიერი მრევლი საკუთარ საეკლესიო კუთვნილებას თავად გადაწყვეტს.

რაც შეეხება მოსკოვს, მიუხედავად მისი მცდელობებისა, მოეპოვებინა პირველობა მართლმადიდებელ სამყაროში, მისი ქმედებები ნამდვილად არ ჰგავდა ლიდერის ქმედებებს. რუსეთი გამუდმებით ცდილობდა ბზარების გაზრდას და კონფლიქტიდან სარგებლის მიღებას. ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო პატრიარქი, კონფლიქტის იდენტიფიცირებისა და მისი ანალიზის შემდეგ, ყველანაირად შეეცადა, დაპირისპირება შეემცირებინა.

ჩანს, რომ მიტროპოლიტ ბართლომეს მიზანია, ხელი შეუწყოს მშვიდობასა და სტაბილურობას უკრაინელი ხალხის ეროვნული ღირსების აღიარებისა და პატივისცემის გზით, ქვეყნის მდიდარი ისტორიის წარმოჩენით.

მსოფლიო პატრიარქი მართლმადიდებელ ქრისტიანთა რიგებში კვლავინდებურად სარგებლობს ისტორიული სტატუსით – „პირველი თანასწორთა შორის“ და ეს მისმა პრინციპულმა ნაბიჯებმა, უკრაინის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაამყარა!

ჩვენ კი თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, კრემლისთვის მთავარი გეოპოლიტიკური იარაღის წართმევა და „რუსული სამყაროს“ იდეის ჩამონგრევის დასაწყისია, უფრო სწორად კი – პუტინის ძალაუფლების რყევა.

მოსკოვი კი, რომელმაც უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობა ძალიან მტკივნეულად მიიღო, კვლავ ნაცად და ნაცნობ ხერხებს იყენებს – როგორც ამბობენ, 25 ნოემბერს ქერჩის სრუტეში რუსეთის მიერ 3 უკრაინულ გემზე შეიარაღებული თავდასხმა სწორედ უკრაინის ეკლესიაში მიმდინარე მოვლენების გამოძახილი იყო. დღეს ცოტას თუ სჯერა, რომ შავ ზღვაში გამწვავებული მოვლენები უკრაინის ავტოკეფალიის საკითხის განხილვას უბრალოდ დაემთხვა.

ხისტი, აგრესიული და უტიფარი მეთოდებით პუტინი მსოფლიოს ბოლო ათწლეულია, აშანტაჟებს და ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მსოფლიოს პოლიტიკური ისტებლიშმენტისგან განსხვავებით, მსოფლიო პატრიარქი ბართლომე მეტად გაბედული აღმოჩნდა – სწორედ კონსტანტინოპოლის პრინციპულმა პოზიციამ განაპირობა უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა, რასაც გადაწყვეტილების მიღებამდე, საერთაშორისო საზოგადოების დიდი ნაწილი წარმოუდგენლადაც კი მიიჩნევდა.

მაინც, როგორი იქნება პუტინის შემდეგი ნაბიჯი?

ადვილად სავარაუდოა, რომ უკრაინის ავტოკეფალიას კრემლი ასე იოლად არ დათმობს და თუკი საერთაშორისო პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა კონსტანტინოპოლის მსგავსი პრინციპულობა არ გამოიჩინა, რუსეთის მიერ დაწყებული „სრუტეების ომი“ მხოლოდ დასაწყისი იქნება, რომლის „გაგრძელების“, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო პერსპექტივა არსებობს.

აქ აღარაფერს ვამბობთ „ფინალზე“, რომელიც პუტინის აგრესიული პოლიტიკის საპასუხო „უმოქმედობის“ შედეგად აუცილებლად დადგება და ადვილი წარმოსადგენია, რას მოუტანს ის მსოფლიო გლობალურ პოლიტიკას.

რუსეთის პრეზიდენტის „განსაკუთრებულ პოლიტიკურ უნარებს“ ყველა კარგად ვიცნობთ.

დავით კირკიტაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო დღეს იმსჯელებს

გურჯაანის რაიონული სასამართლო გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის დავით კირკიტაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე დღეს, 10:30 საათზე, იმსჯელებს.

ბრალდების მხარე ოპოზიციონერი პოლიტიკოსისთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობას ითხოვს.

დავით კირკიტაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით წაუყენეს, რაც პოლიციელზე თავდასხმას, ფიზიკურ შეურაცხყოფასა და ქონების დაზიანებას გულისხმობს.

დავით კირკიტაძე ბრალს არ აღიარებს და მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული.

ოპოზიცია დავით კირკიტაძეს პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევს და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვს. მას 30 პარლამენტარი თავდებში ჩაუდგება. ამის შესახებ განცხადება დავით კირკიტაძის ადვოკატმა, გიორგი კონდახიშვილმა გაკეთა.

– არ არსებობს არც ერთი სამართლებრივი არგუმენტი, რომ აღნიშნული ბრალდების ფარგლებში დავით კირკიტაძის წინააღმდეგ შეფარდებული იქნას ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება, – განაცხადა ადვოკატმა.

დავით კირკიტაძე ბრალს არ აღიარებს და სხდომაზე მოსამართლეს შესთავაზებენ, რომ საერთოდ არ იყოს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. თუმცა, ადვოკატის თქმით, თუ მოსამართლე აღნიშნულ შეთავაზებას არ დათანხმდება, მაშინ გირაოს ან თავდების სანაცვლოდ გათავისუფლებას შესთავაზებენ.

– დღეის მდგომარეობით არ არსებობს არც მიმალვის საფრთხე, მით უმეტეს, დავით კირკიტაძის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების და მტკიცებულების განადგურების საფრთხე, მეტიც, დღეის მდგომარეობით, დაახლოებით, საქართველოს პარლამენტის 30-მდე წევრი წერილობით შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ისინი აცხადებენ თანხმობას, რომ თავდებად ჩაუდგნენ ბატონ დავითს და უზრუნველყონ მისი სათანადო ქცევა და ეს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ინსტრუმენტია, ჩვენ აღნიშნულ წერილობით შუამდგომლობას წარვადგენთ სასამართლო პროცესზე, – განაცხადა ადვოკატმა.

სისხლიანი გარჩევა ვაკეში დავით კაჭარავა, ირაკლი რამიშვილი და ზურა რაზმაძე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაკეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სამი პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული დავით კაჭარავა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, 16 ნომერში, ურთიერთშელაპარაკება მოხდა დავით კაჭარავას, 1992 წელს დაბადებულ ირაკლი რამიშვილსა და 1997 წელს დაბადებულ ზურა რაზმაძეს შორის, რომლის დროსაც კაჭარავამ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა.

შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად გამოცხადდნენ სამართალდამცველები. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდანაც გასროლა განხორციელდა. რამიშვილმა და კაჭარავამ სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს და არ დაემორჩილნენ მათ კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც ორივე პირი დაკავებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით, რაც სამართალდამცველის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას და წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ირაკლი რამიშვილს საქალაქო სასამართლომ ორდღიანი პატიმრობა, ზურა რაზმაძეს კი ოთხდღიანი პატიმრობა შეუფარდა.

როგორც სასამართლო პროცესზე პოლიციის თანამშრომლებმა განაცხადა, ირაკლი რამიშვილი არ დაემორჩილა სამართალდამცავების მოთხოვნას და მათ ჩხრეკაზე უარი განუცხადა.

– შეტყობინება შემოვიდა ჩხუბთან დაკავშირებით. პოლიციის თანამშრომლები გავიდნენ შემთხვევის ადგილზე, სადაც შეამჩნიეს ირაკლი რამიშვილი, რომელიც მორბოდა. იგი შეაჩერეს. ამ დროს წინააღმდეგობა გაუწია. იყო აგრესიული. პირად დათვალიერებაზე უარი განუცხადა. შემდგომ მისი დაკავება მოხდა, – განაცხადა პოლიციის თანამშრომელმა.

თავად ირაკლი რამიშვილი ბრალს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მას პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. მისი თქმით, თავდაპირველად ის ვერც კი მიხვდა, ვინ იყვნენ ის პირები, რომლებიც მის გაჩხრეკას აპირებდნენ, რადგან ისინი სამოქალაქო ფორმაში იმყოფებოდნენ.

ირაკლი რამიშვილის მსგავსად, ზურა რაზმაძეც უარყოფს, რომ პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. მისი თქმით, სამართალდამცავებს არანაირი დამადასტურებელი მოწმობა არ წარუდგენიათ.

რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილის სიძის მეგობარს დავით კაჭარავას, მისთვის ბრალი ჯერ არ წარუდგენიათ. ის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

ჭავჭავაძის 16 ნომერში სროლა 18 დეკემბერს გვიან ღამით ისმოდა. დაპირისპირება თავდაპირველად ერთ-ერთ რესტორანში დაიწყო და ჭავჭავაძის გამზირზე გაგრძელდა.

ჭავჭავაძის გამზირზე გარჩევა თბილისში რამდენიმე კვირის წინ მომხდარ შელაპარაკებას უკავშირდება, როდესაც რესტორან სტრადაში პრეზიდენტ მარგველაშვილის სიძე მინდია გოგოჭური დაჭრეს.

ბარს ჰომოფობიური მოტივით თავს დაესხნენ დაშავებულია ბარის 2 თანამშრომელი და დაზიანებულია ინვენტარი

თანასწორობის მოძრაობის ინფორმაციით, 19 დეკემბერს 01:30 საათზე თბილისში ქვიარ ბარს საქსესს თავს დაესხნენ. დაზარალებულია ბარის ორი თანამშრომელი და დაზიანებულია ინვენტარი.

ბარში ორი უცნობი ადამიანი შევიდა, ერთ-ერთმა ითხოვა, რომ საპირფარეშოში შესულიყო, ამის შემდეგ მათ სცადეს ბარში მოწევა, რაზეც მიიღეს გაფრთხილება, რომ შენობაში არ ეწეოდნენ. მას შემდეგ, რაც ამ პირებმა გაიგეს, რომ საქსესი ქვიარ ბარია, აგრესიული გახდნენ.

ბარის დაცვის თანამშრომელმა ისინი გარეთ გაიყვანა და კარი დაკეტა. ამ ორი პიროვნებიდან ერთ-ერთი ცდილობდა კარის გაღებას, ურტყამდა ფეხს, რომლის დროსაც კარი დაზიანდა. ამ დაპირისპირების დროს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დაცვის თანამშრომელს, იგი ექსპერტიზაზეც გადაიყვანეს, ფიზიკური დაზიანება მიიღო ბარის მენეჯერმაც.

დაპირისპირების დროს თავდამსხმელი იგინებოდა, იყენებდნენ ჰომოფობიურ სიტყვებს და იმუქრებოდნენ, რომ დაბრუნდებოდნენ.

ბარის მენეჯერის თქმით, მან პოლიციას გამოუძახა, რომელიც მას შემდეგ მოვიდა, რაც თავდამსხმელები გაიქცნენ. როდესაც ბარის თანამშრომლებმა პოლიციას სთხოვეს, დადევნებოდნენ, პოლიციამ განუცხადა, რომ მათ დადევნების უფლება არ ჰქონდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

გოგა ონიანმა შინაპატიმრობა მოითხოვა, მაგრამ უარი ეთქვა

ნაციონალური მოძრაობის დაკავებულმა წევრმა, ადვოკატმა გიორგი ონიანმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივ საბჭოს მოსახდელი სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით, შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე მიმართა, თუმცა საბჭომ ონიანს შინაპატიმრობაზე უარი უთხრა.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ონიანის ადვოკატმა, ბექა ბასილაიამ განუცხადა.

– გიორგი ონიანი აკმაყოფილებდა აბსოლუტურად ყველა იმ კრიტერიუმს, რაც ამ საბჭოს დებულებით და პატიმრობის შესახებ კანონით არის გათვალისწინებული. მას აუცილებლად უნდა შეხებოდა შინაპატიმრობა, მაგრამ ამ საბჭომ ცალსახად ტენდენციურად და უკანონოდ იმსჯელა და მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა მოსახდელი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე გიორგი ონიანს, – აცხადებს ბასილაია.

როგორც ის აღნიშნავს, საბჭოს ეს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა, რასაც ადვოკატი გაასაჩივრებს.

– ჩვენ ამ გადაწყვეტილებას სასამართლოში უახლოეს დღეებში ადმინისტრაციული წესით გავასაჩივრებთ. რაც შეეხება საბჭოს პოზიციას, ეს ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რამდენადაც ამავე საბჭოს არაერთი ნასამართლევი პირისთვის შეუცვლია შინაპატიმრობით სასჯელი.

ამავე საბჭოს, ნარკოტიკების რეალიზაციაზე მსჯავრდებული პირებისთვის შეუცვლია სასჯელი. ამავე საბჭოს ქრთამის ბრალდებით გასამართლებული პირებისთვის აქვს შინაპატიმრობით სასჯელი შეცლილი. ამ დროს, გიორგი ონიანის სასჯელის შეცვლაზე უარის თქმა სრულიად დაუსაბუთებელი და უკანონოა, – აღნიშნავს ბასილაია.

გოგა ონიანს საგამოძიებო უწყება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და პირისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ედავებოდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ონიანს ოთხივე ეპიზოდში გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

საქართველოს პროკურატურა გიორგი ონიანს შსს-ში მუშაობის პერიოდში დანაშაულის ორ ეპიზოდს ედავებოდა. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა 2011 წელს ქართული ოცნების ლოგოიანი მაისურების დამზადებისთვის „დაო პრინტის“ მენეჯერი დავით შათირიშვილი უკანონოდ დააკავა და „ნარკოტიკული საშუალების ჩადებით“, მას ნარკოდანაშაულისთვის ბრალი წაუყენა. პროკურატურის მტკიცებით, გიორგი ონიანმა ამავე სცენარით დაკავა ქართული ოცნების კიდევ ერთი მხარდამჭერი ლევან მდინარაძე, მეტსახელად დიჯეი რემბო.

მას სასამართლოს გადაწყვეტილებით, 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. აქედან ონიანს მოსახდელი ერთ წელზე ნაკლები დარჩა.

ფეხბურთელთა მწვრთნელს არასრულწლოვან გოგონასთან გარყვნილი ქმედებისთვის 5 წელი მიუსაჯეს

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, გარყვნილი ქმედების ჩადენისთვის ბრალდებულს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გარყვნილი ქმედების ჩადენის ფაქტზე ბრალდებული ა.ვ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 23 მარტს, ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელმა – მასწავლებელმა, 65 წლის ა.ვ.-მ არასრულწლოვან მოსწავლე გოგონასთან გარყვნილი ქმედება ჩაიდინა.

სამართალდამცველებმა ა.ვ. 2018 წლის 31 მარტს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (გარყვნილი ქმედება, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ა.ვ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თელავში დაჭრეს დედათა მონასტრის წინამძღვრის შვილი და 2 სხვა პირი

სისხლიანი გარჩევა მოხდა თელავში – დაპირისპირების შედეგად 3 ახალგაზრდა დაიჭრა.

შემთხვევა 19 დეკემბერს აღმაშენებლის ქუჩაზე, ცხოველური ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიის ოფისში მოხდა.

ინციდენტს წინ სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება უძღოდა, რის შემდეგაც, სავარაუდო თავდამსხმელმა ავტომატიდან რამდენიმეჯერ გაისროლა.

დაშავებულებს ჭრილობები ქვედა კიდურებზე აქვთ მიყენებული – მათ შორის ერთი თელავის დედათა მონასტრის წინამძღვრის, მამა გენადის შვილი, გიორგი გოგილაშვილია.

ინციდენტის შემდეგ სამივე მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს – ორს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, სისხლიანი გარჩევა წარსულში მომხდარ კონფლიქტს უკავშირდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1 პირი დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული ი.ა. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ი.ა.-მ მიმდინარე წლის 19 დეკემბერს

თელავში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კომპანიის შენობაში, წარსულში არსებული პირადი კონფლიქტის გამო, შურისძიების მოტივით, „საიგას“ სისტემის რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულზე დაზიანებები მიაყენა 1993 წელს დაბადებულ ნ. გ.-ს, 1998 წელს დაბადებულ გ. გ.-ს და 1998 წელს დაბადებულ ღ. ბ.-ს., რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს“ – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბელგიის პრემიერი გადადგა

ბელგიის პრემიერ-მინისტრმა შარლ მიშელმა გადადგომის შესახებ განაცხადა მას შემდეგ, რაც მმართველი კოალიცია დაიშალა.

ამის შესახებ მან პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ვაფიქსირებ, რომ ჩემი წინადადებები

არ იყო დამაჯერებელი და ჩემი მოწოდება არ იყო მოსმენილი. გადაწყვეტილება მივიღე, ბელგიის მეფეს წარვუდგინო მოთხოვნა ჩემი გადადგომის შესახებ, – განაცხადა შარლ მიშელმა.

ბელგიაში სამთავრობო კრიზისი დეკემბრის დასაწყისში მმართველ კოალიციაში მიგრაციის შესახებ გაეროს პაქტის ირგვლივ მწვავე უთანხმოების გამო დაიწყო. აღნიშნულ პაქტს მხარს უჭერენ ბელგიის პრემიერ-მინისტრი და ლიბერალური პარტიები. 9 დეკემბერს მმართველი კოალიცია საბოლოოდ დაიშალა, როდესაც მთავრობა ფლამანდურმა პარტიამ „ახალი ფლამანდური ალიანსი“ დატოვა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ პაქტს.

კანონის მიხედვით, ბელგიაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 40 დღეში უნდა გაიმართოს.

10 დეკემბერს მაროკოში, ქალაქ მარაკეშში, გაერო-ს სამთავრობთაშორისო კონფერენციამ მიგრაციის შესახებ გლობალური პაქტი მიიღო.

აღნიშნული პაქტი გაერო-ს თითქმის ყველა წევრი ქვეყნის მიერ არის შემუშავებული. მას იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვს და ამ სფეროში მხოლოდ გლობალური თანამშრომლობისთვის შესაძლებლობებს იძლევა.

სირიაში კიდევ ერთი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა

სირიაში კიდევ ერთი რუსი ჯარისკაცი ალექსანდრე დუდჩენკო დაიღუპა. ის ასტრახანელია. არმიაში კონტრაქტით მსახურობდა. სამხედრო ბეგარა მან საჰაერო სადესანტო ნაწილებში მოიხადა.

დუდჩენკო ლატაკის პროვინციაში პარტიზანების თავდასხმის შედეგად დაიღუპა.

რატომ კვდებიან გრუ-ს შეფები?

უკანასკნელ ხანს გრუ-ში ფრიად საინტერესო პროცესები წარიმართა. ერთიმეორის მიყოლებით მისი რამდენიმე შეფი გარდაიცვალა. ამის გარშემო პროფესიონალები სერიოზულ ეჭვებს გამოთქვამენ.

ამერიკელი გენერალი მაიკ ფლინი ერთ ხანს ტრამპთან დაახლოებულ ფიგურას წარმოადგენდა. რუსებთან არაოფიციალური კონტაქტები სწორედ ფლინის მეშვეობით ხორციელდებოდა. ახლა ფლინი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული და სასამართლოს წინაშე წარდგა. მისი საქმის გამოძიებამ კი ფრიად საინტერესო ფაქტები გამოავლინა. დადგინდა, რომ ფლინს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გრუ-ს მაშინდელ შეფთან, გენერალ სერგუნთან. ფლინი მას ახასიათებს როგორც საღი გონების ადამიანს, რომელსაც ესმის, რომ რუსეთ-აშშ-ის შეთანხმების გარეშე დედამიწაზე მშვიდობა ვერ დამყარდება.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სერგუნი მოსკოვში ინფარქტით გარდაიცვალა. ფლინი ამას ეჭვქვეშ აყენებს.

– გენერალი სერგუნი არა მოსკოვში, არამედ ლიბანში გარდაიცვალა. რატომ ცრუობენ რუსები? იმიტომ ხომ არა, რომ რაღაცას მალავენ? – კითხულობს ფლინი.

გენერალი ტრამპის ადმინისტრაციიდან ერთადერთია, ვინც რუსებთან კავშირი აღიარა. მან განაცხადა, რომ ტრამპის სიძე კუშნერი რუსებთან კავშირისას საიდუმლო დავალებებსაც აძლევდა. ამერიკელთა დიდი ნაწილი ფლინს თვლის მოსკოვის აგენტად, რომელსაც ფული მისცეს და ამის გამო რუსების ინტერესებს იცავდა. გენერალი ამას უარყოფს. ის ამტკიცებს, რომ რუსებთან საერთო ენის გამოძებნა და აშშ-სთვის ხელსაყრელი გარიგების მიღწევა სურდა. შესაძლოა ფლინი ცრუობს, თუმცა აკვარიუმის შეფებთან დაკავშირებით მან გამოძიებას ფრიად საინტერესო ჩვენება მისცა:

– გენერალი სერგუნი 2016 წელს მოკვდა. მისი შემცვლელი გენერალი კორობოვი 2018 წელს აღესრულა, ვითომ შემთხვევითია ეს? არა მგონია, – ამბობს ფლინი.

ვიქტორ სუვოროვი წერს, რომ გრუ-ში უბრალო კანონია: შესვლა მანეთი ღირს, გამოსვლა ორი; უფრო სწორად, ორგანიზაციიდან გასვლა მხოლოდ კრემატორიუმის მილიდან შეიძლება. 2016-18 წლებში გრუ-ს ორი შეფი აკვარიუმიდან სწორედ ამ უკანასკნელი გზით გავიდა.

ზომიერი ფიგურები სცენიდან ჩავიდნენ. 2018 წელს გრუ-ს ვიცე-ადმირალი იგორ კოსტიუკოვი ჩაუდგა სათავეში. ის რუსი სამხედროების ყველაზე რეაქციულ ფრთას განეკუთვნება. კოსტიუკოვი მიიჩნევს, რომ აშშ-სთან, ისევე, როგორც საერთოდ დასავლეთთან, მოლაპარაკების ყველა მცდელობა ამაოა. რუსეთმა უნდა აიძულოს როგორც აშშ, ასევე ევროპა, უკან დაიხიოს. საამისოდ კი აუცილებელია აქტიური ოპერაციების განხორციელება როგორც ევროპის, ისე აშშ-ის ტერიტორიაზე.

მაიკ ფლინი თავისი ქმედებებისათვის სასამართლოს წინაშე წარდგა. ჯერჯერობით მოსამართლემ მისთვის განაჩენის გამოტანა გადადო.

რამ გამოიწვია აკვარიუმის შეფების სერგუნის და კორობოვის ნაადრევი სიკვდილი? ამ კითხვას ბევრი სვამს, თუმცა პრინციპში ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ის, რომ რუსეთის პოლიტიკა 2019 წელს ბევრად აგრესიული გახდება. გრუ-ს სათავეში „ქორის“ მოსვლაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

სომხეთი უკრაინის წინააღმდეგ

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო. მას მხარი 66-მა ქვეყანამ დაუჭირა, 19-მა წინააღმდეგი მისცა, 7-მა თავი შეიკავა. არგუმენტი შემდეგი გახლდათ: რეზოლუცია მეტისმეტად კონფრონტაციული შინაარსისაა და ამიტომ თავს ვიკავებთო.

იმ ქვეყნებს შორის, ვინც ხმა რეზოლუციის წინააღმდეგ მისცა, არიან სომხეთი, ბელორუსი, სირია, ვენესუელა, ჩრდილოეთ კორეა, კუბა და ა.შ.

უკრაინას მხარი ძირითადად ევროკავშირის და ნატოს წევრმა ქვეყნებმა, აგრეთვე აშშ-მ, კანადამ, ავსტრალიამ დაუჭირეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ელექტრონული სიგარეტისთვის განკუთვნილმა სითხემ მოსწავლეები მოწამლა



შოტლანდიის ქალაქ დინგუოლში რამდენიმე მოსწავლე დაშავდა ელექტრონული საგარეტისთვის განკუთვნილი სითხის მიღების შედეგად.

რეგიონის ყველაზე დიდი საშუალო სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორი დღის განმავლობაში რამდენიმე მოსწავლე სერიოზულად დაავადდა.

– ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მათი ავადმყოფობა შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ მათ მოსაწევი სითხე დალიეს, – განმარტა სკოლის წარმომადგენელმა.

მოსწავლეებს დაურიგდათ წერილები მშობლებისთვის, რომელშიც აღნიშნული სითხის მავნებლობაზეა საუბარი. მასში ნათქვამია, რომ ელექტრონული სიგარეტისთვის განკუთვნილი სითხე უკიდურესად ტოქსიკურია, ხოლო მისი მიღება, შესაძლოა, დაღუპვის მიზეზი გახდეს. მოწამვლის სიმპტომებში შედის სულისხუთვა, პირღებინება, აღგზნებულობა, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა და გულის მუშაობის რიტმულობის დარღვევა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველო 6 ერში მსაჯით შევიდა

პირველად 6 ერის სტრუქტურაში, სადაც ინგლისის, საფრანგეთის, ირლანდიის, უელსის, შოტლანდიისა და იტალიის კაცთა, ქალთა და 20-წლამდელთა ნაკრებები თამაშობენ, არა ამ ქვეყნების წარმომადგენელი გამოჩნდა და ის ქართველი მსაჯია!

ელიტაში პირველმა ფეხი ნიკა ამაშუკელმა შედგა, რომელიც 9 მარტს ინგლისში, მასპინძელთა და იტალიელთა 20-წლამდე ნაკრებების მატჩში ცენტრალური მსაჯი იქნება.

ეს პატარა ამბავი ნამდვილად არ არის, რადგან ახალგაზრდა მსაჯმა, თანაც „უცხო ქვეყნიდან“ 6 ერის ჩაკეტილ წრეში შეაღწია.

მანამდე ამაშუკელი რაგბი ევროპის მატჩსაც იმსაჯებს – 16 თებერვალს რუმინეთისა და გერმანიის დაპირისპირებას გაუძღვება.

ახალგაზრდა, მზარდ მსაჯთან ინტერვიუს მომავალში შემოგთავაზებთ...

შენგელიასა და ჯენინგსის გამარჯვება ევროლიგაზე

თორნიკე შენგელიასა და მეტ ჯენინგის ბასკონიამ ევროლიგაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ვიტორიელები ესპანურ დერბიში გრან კანარიას შეხვდნენ და საკმაოდ იოლად – 84:71 დაამარცხა. გამარჯვებაში საქართველოს ეროვნული ნაკრების ორივე წევრმა სოლიდური წვლილი შეიტანა.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 21 წუთში 7 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. თორნიკემ 7-დან 3 ორქულიანი და 4-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. გაცილებით შედეგიანი იყო საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი მეტ ჯენინგი, რომელმაც 25 წუთში 16 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. ჯენინგმა 8-დან 4 სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და შევონ შილდსთან ერთად, ყველაზე შედეგიანი გახლდათ.

ბასკონიას 6 მოგება და 7 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო მატჩს კი, შინ, ბარსელონასთან გამართავს.

ჩისკო დინამოში იმუშავებს, დეკანოსიძე დილას გაწვრთნის



მომავალი სეზონიდან თბილისის დინამოს სამწვრთნელო შტაბში ჩისკო მუნიოსი იმუშავებს და, სავარაუდოდ, ზაურ სვანაძის ასისტენტის პოსტს დაიკავებს.

კლუბსა და ესპანელს შორის სიტყვიერი შეთანხმება არსებობს და ხელშეკრულებას ხელი იანვრის დაწყებამდე უნდა მოეწეროს, სწორედ ამ დროს იკრიბება თბილისური კლუბი.

– მოლაპარაკებები მიმდინარეობს, სიტყვიერი თანხმობა არსებობს, მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ყველაფერი დადებითი შედეგისკენ მიდის. ზაურ სვანაძე პოსტზე რჩება. ჩისკო, სავარაუდოდ, მისი ასისტენტის ფუნქციას შეასრულებს. გუნდი იანვრის დასაწყისში იკრიბება და ხელშეკრულებასაც ხელი ამ დროისთვის უნდა მოეწეროს, – აცხადებს კლუბის პრესსამსახური.

ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი ჩისკო მუნიოსი დინამოს შემადგენლობაში 2011-14 წლებში ასპარეზობდა და გუნდთან ერთად 2-ჯერ უმაღლესი ლიგა და 2-ჯერ საქართველოს თასი მოიგო.

ესპანელმა მოთამაშემ კარიერა 2016 წელს ხიმნასტიკში დაასრულა. თუმცა, გაცილებით მდიდარი სპორტული ბიოგრაფია აქვს, რადგან ვალენსიას, ბეტისისა და ლევანტეს რიგებშიც უთამაშია. მეტიც, ვალენსიასთან ერთად 2003-04 წლების სეზონში უეფას თასი მოიგო.

სამწვრთნელო შტაბში ცვლილება განახორციელა გორის დილამაც. ქართლურ კლუბს მომავალი სეზონიდან გიორგი დეკანოსიძე გაწვრთნის, რომელიც უკვე დასრულებულ სეზონში თელავში მუშაობდა.

დეკანოსიძე გიორგი შაშიაშვილს ჩაანაცვლებს, რომელიც დილას მთავარ მწვრთნელად სეზონის მე-2 ნახევარში დაინიშნა, მაგრამ გუნდმა მისი ხელმძღვანელობით სასურველ შედეგს (ევროტურნირების საგზურს) ვერ მიაღწია და გაათავისუფლეს.

გოგა ბითაძეს დრაფტზე 24-ე ადგილს უწინასწარმეტყველებენ

საქართველოს ნაკრებისა და სერბული მეგა ბიმაქსის კალათბურთელი გოგა ბითაძე ძალიან სწრაფად პროგრესირებს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ჩვენებური ნბა-ს დრაფტზეც ასარჩევთა სიაში წინ მიიწევს. ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში ბითაძე 48-ე იყო, ახლა კი 24-ე ადგილზეა. თუმცა, ეს ყველაფერი ჯერ პირობითია.

ბითაძის წინ ამპლუით 7 ცენტრია. 60 მოთამაშის სიაში სულ 3 არაამერიკელია – ფრანგი სეკუ დუმბია მე-16 პოზიციაზეა, ხოლო ავსტრალიელი ბრაიან ბოუენი – 50-ზე.

გარდა ვარაუდებისა, ნბა-დრაფტს თავისი ანალიზიც მოჰყავს და ქართველ კალათბურთელს ახასიათებს. გარდა ამისა, ცდილობს ზუსტად „გაარტყას“ გუნდი და, მათი აზრით, ეს ფილადელფია სისქერსია.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ფილადელფია ქართველისთვის არცთუ სასურველი ვარიანტი უნდა იყოს, რადგან იქ ჯოელ ემბიიდი ირჯება, რომელიც საშუალოდ 26.4 ქულას, 13.3 მოხსნას, 3.6 პასსა და 1.8 დაფარებას აკეთებს. ეს სუპერმაჩვენებელია, ამიტომაც მისი სკამზე გადასმა ახალგაზრდა ქართველს გაუჭირდება.

ახლა კი ვნახოთ, როგორ ახასიათებს ნბა-დრაფტი ბითაძეს...

ძლიერი მხარეები

მისი პოზიციისთვის სიმაღლეც კარგი აქვს, ბალანსიც და მობილურობაც. ძალიან ძლიერი ბიჭია... ენერგიულია, თამაშობს აღმაფრენით, არ ეშინია კონტაქტისა და ორთაბრძოლების, წლების განმავლობაში ზედმეტი წონა მოიცილა და სხეული განუვითარდა. პოზიციას არჩევს და კარგად ხტება. უბურთოდაც ბევრს მუშაობს. მოქნილი ფეხების საშუალებით ადვილად ხტება და აგდებს (ზემოდან ჩაგდება იგულისხმება, ჩატენვა) ბურთს კალათში. გრძელი ხელების საშუალებით საჰაერო ორთაბრძოლების მოგება შეუძლია. დიდი პოტენციალი აქვს. თავისუფლად ესვრის პერიმეტრიდან. იშვიათად აგებს დაცვაში ფარს. მეტოქეები მუდმივი ზეწოლის ქვეშ ჰყავს.

სუსტი მხარეები

არ ჰყოფნის ფეთქებადობა. მისი მეორე ნახტომი პირველს ჩამოუვარდება. მართალია, სხეულის აღნაგობა გაუუმჯობესდა, მაგრამ ამ მხრივ სრულყოფას საჭიროებს. ზედმეტად ემოციურია, რაც ყოველთვის დადებით შედეგს არ იღებს, რადგან ფოკუსირებას კარგავს. ამ კუთხით, უფრო ძლიერი ხასიათის კალათბურთელებს შეუძლიათ პრობლემები შეუქმნან. უჭირს კონტაქტის შემდეგ მოძრაობა. თუმცა, მთავარი ნაკლი გამოუცდელობაა. სხვადასხვა მიმართულებით ბევრი აქვს სამუშაო და დასახვეწი. საშუალო სისწრაფე აქვს მოსამატებელი და ნაკლები პერსონალური უნდა მიიღოს. ვერტიკალურობის კანონი აქვს შესასწავლი და ყოველთვის არ უნდა წავიდეს ბლოკირებაზე.

საერთო შეფასება

აშკარად პროგრესირებს. უკვე ცენტრის გარდა სხვა პოზიციაზეც შეუძლია თამაში. თუ პერიმეტრიდან სროლებით მეტოქეს მუდმივ საფრთხეს შეუქმნის და აღნაგობის გასაუმჯობესებლად მუშაობას გააგრძელებს, მართლაც საინტერესო პერსპექტივა ელის.

შენიშვნა

მან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ევრობასკეტ 2017-ზე იასპარეზა და ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი იყო. გუნდში, მეგა ბემასში ყველა ტურნირზე ღირსეულად ითამაშა.

ნბა-ს ექსპერტები ბითაძეს ხშირად ადარებენ დენვერ ნაგითსის სერბ ცენტრ ნიკოლა იოკიჩს. პოზიციასთან და თამაშის მანერასთან ერთად, მათ კლუბიც აკავშირებს – იოკიჩი ამერიკაში სწორედ მეგა ბიმაქსიდან გადავიდა. სერბი კალათბურთელი 2015 წელს კი გადავიდა დენვერში, მაგრამ წინა წლის დრაფტზე 42-ე ნომრად აირჩია და ერთი წლით მეგა ბიმაქსში დატოვა.

ცხადია, მეგა ბიმაქსში იოკიჩიც ადრიატიკის ლიგაზე თამაშობდა და სანამ ამერიკაში წავიდოდა, ზუსტად ბითაძის ხნის იყო – 19 წლის. ამჯერად, ადრიატიკის ლიგის პირველი წრე დასრულებულია, ამიტომაც შესადარებლად კარგი მომენტი შეარჩიეს.

ნიკოლა იოკიჩი

2014-15 წლების სეზონი: 15.4 ქულა, 8.8 მოხსნა, 3.9 პასი, 0.9 დაფარება, 36%-ით ისროდა 3-ქულიანებს, 22.4 მარგი ქმედების კოეფიციენტი.

მეგა – 6 მოგება, 7 წაგება

გოგა ბითაძე

2018-19 წლების სეზონი: 20.2 ქულა, 7.9 მოხსნა, 1.2 პასი, 2.5 დაფარება, 41.7%-ით ისვრის 3-ქულიანებს, 24.6 მარგი ქმედების კოეფიციენტი.

მეგა – 7 მოგება, 4 წაგება

სტატისტიკიდან ჩანს, რომ იოკიჩი ჩვენებურს მოხსნებსა და პასებში ჯობნის, სამაგიეროდ, ბითაძის უპირატესობა აშკარაა ქულებში, ბლოკებსა და მარგი ქმედების კოეფიციენტში. პლუს, ბითაძესთან ერთად მეგა უფრო უკეთესად გამოიყურება.

მანჩესტერი ოლე გუნარ სოლსკიაერს ჩააბარეს

მანჩესტერ იუნაიტედმა ერთი დღეც არ აცალა გახარება მაიკლ კერიკს, რომელიც გუშინ მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დაასახელა და წლის ბოლომდე გუნდი ჩააბარა. კლუბის ხელმძღვანელობამ მალევე დაადასტურა, რომ სეზონის ბოლომდე იუნაიტედს ოლე გუნარ სოლსკიაერი ჩაუდგება სათავეში.

სოლსკიაერი იუნაიტედში 1996-2007 წლებში თამაშობდა. ამ დროის განმავლობაში ნორვეგიელმა 366 მატჩი ჩაატარა და 126 გოლის გატანა მოახერხა. 2008 წელს კი იუნაიტედის რეზერვების მენეჯერი გახდა.

ოლე გუნარი დაუყოვნებლივ ჩაუდგება კლუბს სათავეში. მენეჯერის ადგილს ის სეზონის ბოლომდე დაიკავებს, მანამ, სანამ იუნაიტედი ახალ მწრთვნელს არ მოიძიებს. ოლე გუნართან ერთად კლუბში მაიკ ფელანიც გამოჩნდება და სოლსკიაერს გაწრთვნაში დაეხმარება.

ოლე გუნარ სოლსკიაერი:

– მანჩესტერ იუნაიტედი ყოველთვის ჩემს გულში იყო. ბრწყინვალე შეგრძნებაა ამ როლში ჩემი აქ დაბრუნება. ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ მუშაობას ამ შესანიშნავ ფეხბურთელებთან, სამწვრთნელო შტაბსა და დანარჩენ ყველასთან, ვინც „იუნაიტედშია“, – განაცხადა სოლსკიაერმა.

გუნარის დაბრუნებაზე კომენტარი გააკეთა ედ ვუდვორდმაც, რომელსაც მოურინიოზე ადრე წასვლას უწინასწარმეტყველებდნენ:

– ოლე კლუბის ლეგენდაა. მას მოედანსა და სამწრთვნელო შტაბში დიდი გამოცდილება აქვს. მისი მანჩესტერული ისტორია მხოლოდ იმის დასტურია, რომ ის ამ კლუბით, ამ კულტურით ცხოვრობს. ყველას ძალიან უხარია მისი და ფელანის დაბრუნება. რთული მეორე ნახევარი გველის, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ყველაფერს შეძლებენ და გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს ისევ გააერთიანებენ.

სოლსკიაერმა საფეხბურთო კარიერა 2007 წელს დაასრულა და, როგორც გითხარით, იუნაიტედის სარეზერვო გუნდის მწვრთნელი გახდა. მერე წვრთნიდა მიოლდეს, კარდიფ სიტის, ისევ მიოლდეს და ახლა „ოლდ ტრაფორდზე“ ბრუნდება, სადაც მაიკ ფელანთან, მაიკლ ქერიკთან და კირან მაკენასთან ერთად იმუშავებს.

ჰო, სოლსკიაერს პირველი თამაში ასევე ყოფილ გუნდ, კარდიფთან ელის.

შედეგები

18 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჯარიბაოს თასი

ლესტერი-სიტი ..... 1:1(1:3პ)
მიდლსბრო-ბარტონი 0:1

გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-ნიურნბერგი 2:0
ვოლფსბურგი-შტუტგარტი 2:0
ჰერტა-აუგსბურგი 2:2
ფორტუნა-დორტმუნდი 2:1

საატუნინო ცხრილი:

1.დორტმუნდი	16	12	3	1	42-17	39
2.გლადბახი	16	10	3	3	35-16	33
3.ბაიერნი	15	9	3	3	32-18	30
4.ლაიპციგი	15	8	4	3	28-14	28
5.აინტრახტი	15	8	2	5	32-18	26
6.ვოლფსბურგი	16	7	4	5	24-20	25
7.ჰერტა	16	6	6	4	25-24	24
8.ჰოფენჰაიმი	15	6	5	4	30-21	23
9.ვერდერი	15	6	3	6	25-25	21
10.მაინცი	15	5	4	6	14-19	19
11.ლევერკუზენი	15	5	3	7	21-27	18
12.ფრაიბურგი	15	4	5	6	19-24	17
13.აუგსბურგი	16	3	6	7	23-26	15
14.შალკე	15	4	3	8	16-21	15
15.ფორტუნა	16	4	3	9	18-33	15
16.შტუტგარტი	16	4	2	10	11-32	14
17.ნიურნბერგი	16	2	5	9	14-37	11
18.ჰანოვერი	15	2	4	9	16-33	10

იტალია. სერია ა

ბოლონია-მილანი 0:0

საატუნინო ცხრილი:

1.იუვენტუსი	16	15	1	0	33:8	46
2.ნაპოლი	16	12	2	2	33:14	38
3.ინტერი	16	10	2	4	28:13	32
4.მილანი	16	7	6	3	24:18	27
5.ლაციო	16	7	4	5	22:19	25
6.ატალანტა	16	7	3	6	30:20	24
7.რომა	16	6	6	4	29:22	24
8.სასუოლო	16	6	6	4	26:22	24
9.სამპდორია	16	6	5	5	25:19	23
10.ფიორენტინა	16	5	7	4	24:17	22
11.ტორინო	16	5	7	4	19:17	22
12.პარმა	16	6	3	7	16:21	21
13.კალიარი	16	3	8	5	15:20	17
14.ემპოლი	16	4	4	8	20:29	16
15.სპაილი	16	4	4	8	14:24	16
16.ჯენოა	16	4	4	8	22:33	16
17.უდინეზე	16	3	4	9	13:22	13
18.ბოლონია	16	2	6	8	13:24	12
19.ფროზინონე	16	1	5	10	11:35	8
20.კიევო	16	0	7	9	12:32	4

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

საფრანგეთი. 1 ლიგა

კაენი-ტულუზა 2:1

საატუნინო ცხრილი:

1.პსჟ	16	14	2	0	49:10	44
2.ლილი	18	10	4	4	28:17	34
3.ლიონი	17	9	4	4	29:20	31
4.მონპელიე	16	8	5	3	24:12	29
5.სტ.ეტიენი	17	7	6	4	25:22	27
6.მარსელი	16	8	2	6	29:25	26
7.ნიცა	17	7	5	5	13:15	26
8.რეიმსი	18	6	7	5	13:16	25
9.სტრასბური	18	5	8	5	28:23	23
10.ნიმი	17	6	5	6	26:24	23
11.რენი	17	6	5	6	23:25	23
12.ბორდო	16	5	6	5	19:19	21
13.ნანტი	16	5	5	6	24:24	20
14.ანჟე	16	4	6	6	19:21	18
15.ტულუზა	17	4	6	7	15:26	18
16.კაენი	18	3	8	7	17:23	17
17.დიჟონი	17	4	4	9	16:28	16
18.ამიენი	17	5	1	11	16:30	16
19.მონაკო	17	3	4	10	16:27	13
20.გენგამი	17	1	5	11	12:34	8

მოტლანდია. ჰიემიეხიგა

აბერდინი-დანდი 5:1

ბელგია. თასი

სტ.ტრუიდენი-გენტი 1:3

მოამზადა მანუელ ყორეოლიანმა

ფლორიდაში დათვის ზომის ტახი დაიჭირეს

ამერიკის ფლორიდის შტატში დაიჭირეს ტახი, რომლის წონამ 181 კილოგრამი შეადგინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ცხოველი ქალაქ პალმ-ბეიში ორი ქუჩის გადაკვეთაზე შენიშნეს. მის დასაჭერად მონადირეთა ჯგუფი გამოიძახეს, ძაღლებით. ტახი მეტად მასიური აღმოჩნდა, რამაც პროფესიონალი მონადირეები შეაფიქრიანა.

პირველად უზარმაზარი ტახის შესახებ ინფორმაცია დაახლოებით ორი კვირის წინ გავრცელდა. ის სკოლის ავტობუსის გაჩერებასთან საბავშვო მოედანზე ბალახობის დროს შენიშნეს. კიდევ ერთმა მოქალაქემ ის ღამით შენიშნა, როდესაც ხეებს შორის დასეირნობდა. თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ ტახი თავისი ზომების გამო უფრო დათვს წააგავდა.

მონადირეებმა ირმის ხაფანგი გამოიყენეს და კვირანახევარი ლოდინი დასჭირდათ იმისთვის, თუ როდის გაებმებოდა ცხოველი ხაფანგში. სპეცოპერაციაში ოთხი სპეციალისტი და ძაღლები მონაწილეობდნენ. ცხოველი ხაფანგში ძაღლმა, სახელად შეფმა შეაგდო. მთელი ამ დროის მანძილზე ტახი მისთვის კბენას ცდილობდა.

ბრიტანელმა საკუთარი ფეხმძიმობის შესახებ მხოლოდ მერვე თვეში შეიტყო

ბრიტანეთის ესექსის საგრაფოს ქალაქ კლაკტონ-ონ-სის მცხოვრებმა მშობიარობამდე ერთი თვით ადრე შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იმყოფებოდა.

შაფრან ჰეფერი 17 წლის იყო, როდესაც სისუსტეს და უქეიფობას გრძნობდა. ექიმები ამას ანემიას და ვიტამინების ნაკლებობას მიაწერდნენ, მაგრამ გოგონა თავს სულ უფრო უარესად გრძნობდა. რამდენიმე თვეში მან წონაში საგრძნობლად დაიკლო, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს საკვებით არ ზღუდავდა. მენსტრუაციის არ არსებობას გოგონა ჰორმონალური წამლების მოქმედებას მიაწერდა.

– საკუთარი თავის სალათით, მარწყვითა და ნაყინით გატაცებას იმას მივაწერდი, რომ ჩემი სახლის გვერდით მდებარე მაღაზიაში მათზე ხშირად აწყობდნენ აქციებს, – განაცხადა შაფრანმა. გოგონა ჩვეულებრივად აგრძელებდა ცხოვრებას: რეგულარულად დადიოდა სავარჯიშო დარბაზში და ირუჯებოდა.

მის ფეხმძიმობაში ეჭვი დედას შეეპარა, როდესაც ქალიშვილის მუცელზე პიგმენტური ლაქები შენიშნა. ჰეფერმა ფეხმძიმობის ტესტი ჩაიტარა და ის დადებითი აღმოჩნდა.

ექიმთან სტუმრობის შემდეგ, მას ექიმმა უთხრა, რომ ნაყოფი მისი მუცლისკენ ზურგით იმყოფებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ექიმმა ნაყოფი შეატრიალა, გოგონას მუცელი თვალსა და ხელშუა გამოეზარდა.

ექვსი კვირის შემდეგ გოგონამ იმშობიარა და სრულიად ჯანმრთელი 3,6 კილოგრამი წონის მქონე ბიჭი გააჩინა. ბავშვს ოსკარი დაარქვეს.

ქალს დალაგების შემდეგ თითები გაუშავდა

ჩინეთში ქალმა დალაგების დროს ხელი გაიჭრა, ინფექცია შეეჭრა და განგრენა დაემართა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ხუბეის პროვინციაში მოხდა. 53 წლის ქალს, გვარად ჩუანს, დალაგების დროს ხელი გაეჭრა, თუმცა მას ამ უმნიშვნელო დაზიანებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და ჭრილობა არ დაიმუშავა.

ორი დღის შემდეგ ნაჭრილობევის გარშემო ჩალურჯება გაუჩნდა. მალე მარცხენა ხელზე ცერა თითის გარდა ყველა დანარჩენი და მარჯვენა ხელზე ნეკა თითის გარდა, ყველა დანარჩენი გაუშავდა. ჩაშავებულ ადგილებზე ჯერ ქავილი და ხმობა დაეწყო, შემდეგ ტკივილები, ბოლოს კი ჩუანი მათ საერთოდ ვეღარ გრძნობდა.

შეშინებულმა ქალმა ექიმს მიმართა და მას განგრენა დაუდგინეს. მკურნალობის დახმარებით ექიმებმა დაავადების განვითარების შეჩერება და ქალის ხელების მდგომარეობის გაუმჯობესება მოახერხეს.

ინდოეთში სპილო ღობეში გაიჭედა და დაიღუპა

ინდოეთში სპილო შეეცადა ღობეზე გადამძვრალიყო, მაგრამ გაიჭედა, გაიგუდა და ადგილზევე დაიღუპა.

ინციდენტი კარნატაკას შტატში მდებარე ნაგარხოლეს ეროვნულ პარკში მოხდა. სპილო ღობეზე გადაძვრა, ფერმერის ყანაში შეაღწია, ნათესებით პირი ჩაიტკბარუნა და უკანვე გადმოძრომა სცადა, მაგრამ ეს ვეღარ მოახერხა და გაიგუდა.

დაღუპვის მომენტისთვის სპილო 42 წლის იყო. ეროვნული პარკის დირექტორმა კ.მ. ნარაიანასვამიმ განმარტა, რომ სპილოს დიაფრაგმა, როდესაც ის ღობეში გაიჭედა, შეიკუმშა, ამის გამო მის შიდა ორგანოებს ჟანგბადი აღარ მიეწოდებოდა და სწორედ ეს გახდა მისი დაღუპვის მიზეზი.

32 კილომეტრის სიგრძის ღობე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნათესების სპილოების შემოსევებისგან დასაცავად აღმართა. ამ ნაგებობამ თავის მხრივ ცხოველთა დამცველების მხრიდან კრიტიკა დაიმსახურა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქურდმა ყელსაბამი გადაყლაპა, მაგრამ მაინც დაიჭირეს

ჩინეთში ქურდმა 40 ცალი ნეფრიტისთვლიანი ძვირფასი ყელსაბამი გადაყლაპა, რათა ამით ნაქურდალი პოლიციისთვის დაემალა.

ინციდენტი გუანდუნის პროვინციის ქალაქ ცზეიანში მოხდა. 49 წლის ხოუ და მისი 24 წლის თანამზრახველი გოგონა ჩუოუ კვირის დასაწყისიდან ყოველდღე შედიოდნენ საიუველირო მაღაზიაში და თავს ნეფრიტის ყელსაბამის პოტენციურ მყიდველებად ასაღებდნენ, რომელიც ათ მილიონ იუამზე მეტი ღირდა.

როდესაც ისინი მეხუთედ ესტუმრნენ მაღაზიას, მამაკაცმა გამყიდველს განუცხადა, რომ ყელსაბამის ქუჩაში დღის სინათლეზე დათვალიერება სურდა, მისი თანამზრახველი გოგონა კი მაღაზიაში დარჩებოდა.

მამაკაცი, როგორც კი მაღაზიიდან გამოვიდა, იმ წამსვე გაიქცა. გაოგნებულმა გამყიდველებმა მაშინვე პოლიცია გამოიძახეს. მათ ჩუოუ დააკავეს, შეისწავლეს სათვალთვალო კამერების ჩანაწერები და დამნაშავეს გაეკიდნენ.

ხოუ მეორე დღეს დანაშაულის ჩადენის ადგილიდან 400 კილომეტრში დააპატიმრეს. დაკავების მომენტში მას ყელსაბამი თან არ აღმოაჩნდა და ირწმუნებოდა, თუ სად იყო სამკაული. მაშინ პოლიციელებმა ის რენტგენზე გააშუქეს და ის მის კუჭში აღმოაჩინეს.

ახლა პოლიციელები ელოდებიან, თუ როდის გამოვა ყელსაბამი მისი ორგანიზმიდან. როგორც გაირკვა, მამაკაცი ნეფრიტის სამკაულების მოპარვისთვის ადრე უკვე იყო ნასამართლევი.

მსოფლიოში ყველაზე მსუქანმა ბიჭმა წონაში ორჯერ დაიკლო

ინდონეზიელმა არია პერმანამ, რომელიც ადრე მსოფლიოში ყველაზე მსუქან ბიჭად ითვლებოდა, წონაში თითქმის ორჯერ დაიკლო და ფეხბურთელად გახდომის სურვილი გამოთქვა.

2016 წელს იმ მომენტისთვის 10 წლის პერმანა 200 კილოგრამს იწონიდა. ის ვერ ახერხებდა ვერც სიარულს და ვერც ჯდომას. მუდმივად შიმშილის გრძნობას განიცდიდა და დღეში ხუთჯერ მიირთმევდა თევზის, საქონლის ხორცის, ბრინჯის და წვნიანის დიდი ულუფებს, ასევე ტკბილეულს. მშობლებმა ის ყავისფერი ბრინჯის დიეტაზე გადაიყვანეს, აიძულებდნენ ემოძრავა, ხოლო 2017 წელს მას კუჭის მოცულობის შემცირების ოპერაცია გაუკეთეს.

ამჟამად პერმანა 12 წლისაა და წონაში 98 კილოგრამი აქვს დაკლებული. მას მეგობრებთან ფეხბურთის და ბადმინტონის თამაში მოსწონს, ასევე ის ყოველდღე მათთან ერთად ხუთკილომეტრიან გასეირნებას აწყობს. მან მოტოციკლის ტარებაც კი ისწავლა. მშობლები მას ტკბილეულის ჭამას და გაზიანი სასმელების მიღებას უკრძალავენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
20 დეკემბრისათვის

ვერძი – ახალი ნაცნობობა, სავარაუდოდ, იმედს გაგიცრუებთ. ახლობელ ადამიანთან ურთიერთობისას პრობლემები შეგექმნებათ. **კურო** – სულიერ დისკომფორტს განიცდით. ამიტომ არ იაქტიუროთ. განმარტოვდით და დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **ტყუპები** – სამსახურში ხელმძღვანელობის კეთილგანწყობას მხოლოდ შრომისმოყვარეობისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით მოიპოვებთ. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **კირჩხიბი** – სახიფათო დღეა. იზრდება კონფლიქტური სიტუაციებისა და ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. მოთმინება გმართებთ. **ლომი** – საკუთარ თავზე ზედმეტ მოვალეობებს ნუ აიღებთ. ერიდეთ კამათს გარშემმყოფებთან. **ქალწული** – სამსახურში კოლეგებთან ურთიერთობა გეძაბებათ. ნუ აჰყვებით ემოციებს. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა პროფესიული თვალსაზრისით. საჭიროა, მეტი ისწავლოთ და ცოდნის არეალი გაიფართოოთ. **ღრიანკალი** – შემოსავლის ახალ წყაროს მიაგნებთ. უკმაყოფილო არ დარჩებით. ცრუ დაპირებებს ნუ გასცემთ. **მშვილდოსანი** – საქმიანი მოლაპარაკებები დღეს გაუმართლებელია. დღის ნეგატიურ ტენდენციებს მხოლოდ თქვენი შრომისმოყვარეობა გააქარწყლებს. **თხის რქა** – დღეს განსაკუთრებული თავშეკავება და მოთმინება გმართებთ. კონფლიქტს თავიდან მხოლოდ ასე აიცილებთ. **ვერცხელი** – შრომა დაგიფასდებათ. ერიდეთ ახალი საქმის დაწყებას. მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემები ხასიათს ვერ გაგიფუჭებთ. **თევზები** – საქმიანი წინადადებით კმაყოფილი დარჩებით. მტკიცე ნებისყოფა და შეუპოვარი შრომა წარმატების საწინდარია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. ტბა ბოლივია-პერუს საზღვარზე; 4. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 5. სახლის ზედა სართული თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში; 6. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი უძველესი ქართული ჯიში; 8. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 11. განახლება, სიახლის შეტანა რაიმე საქმეში; 14. სწავლა-განათლებისა და მეცნიერების მტერი; 15. სასტუმრო გაგრაში; 16. ცხენოსანი ჯარის, კავალერიის ქვედანაყოფი; 17. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 19. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 21. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 22. იაპონური აბანო.

თარაზულად: 1. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 5. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 7. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. ნიადაგის გასაფხვიერებელი სასოფლო-სამეურნეო აგრეგატი; 10. რაიონული ცენტრი სვანეთში; 12. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 13. რკალითა და ორი რადიუსით შემოსაზღვრული წრის ნაწილი; 16. ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა; 17. ჩაის ბუჩქის ნორჩი ყლორტი; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. გემის, თვითმფრინავების ტარების სპეციალისტი; 22. მდინარე გურიაში; 23. ბერძნული მითოლოგიის გმირი; 24. ენამოსწრებული, ხუმარა ადამიანი; 25. იტალიელ ფერმწერ რაფაელის გვარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მაყვალი; 2. სვია; 3. კოლიე; 4. დრაივი; 6. ზარზუელა; 9. ლესოტო; 13. ჰარიერი; 14. თაღლითი; 15. კამორა; 17. კროლი; 18. გუამი; 20. ყუმი.

თარაზულად: 1. მესხეთი; 5. კიაზო; 7. ბოსფორი; 8. ყვირილა; 10. მახრა; 11. იფქლი; 12. ლისიპე; 16. მარალი; 17. კონგო; 19. რადა; 21. პოშეტი; 22. ალბომი; 23. კაჭკაჭი; 24. შირაქი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ოჯალეში; 3. ანდამატი; 4. ავსტრალია; 5. ზევსი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. დუბლინი; 14. ეფრემ ვერდი; 15. პოლონეზი; 16. ბარისტერი; 17. ხიზანი; 19. რენუარი; 21. გიუმი; 22. სეული.

თარაზულად: 1. მოწამეთა; 5. ზებუ; 7. რაბათი; 9. ვარდობისთვე; 10. გოდერძი; 12. ალუბალი; 13. კოლხეთი; 16. ბანკროტი; 17. ხადა; 18. კრიკი; 20. სამორინე; 22. სტეკი; 23. თურინჯი; 24. ეტიუდი; 25. მონდი.

გიორგი სუხიტაშვილი დაჯილდოვეს

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი დაჯილდოვეს. სპეციალური სიგელი მომღერალმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსგან მიიღო.

ჯილდო გიორგიმ შალვა დოლიძის სახელობის მებრძოლთა შეჯიბრში მონაწილეობისთვის მიიღო.

ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი: „მიესალმეთ ჩვენს ჯარისკაცებს!“

მსახიობი და პროდიუსერი ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი ახალი ინიციატივით გამოდის და თანამემამულეებს სთხოვს, მიესალმონ ჯარისკაცებს:

– ერთი თხოვნა მაქვს... როდესაც დაინახავთ საქართველოს შეიარაღებული ძალების ტრანსპორტს ჩვენი ჯარისკაცებით, აუწიეთ მათ ხელი, თუ მართავთ მანქანას, მიეცით სიგნალი. მათ უნდა იცოდნენ, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეები აფასებენ მათ სამსახურს და მადლობას უხდიან. მათ ეს დაიმსახურეს. იგივე ვრცელდება სხვა გასამხედროებული ქვედანაყოფების მანქანებზეც, იმედია დავამკვიდრებთ ამ ტრადიციას...

ქართველი ერი პატივს სცემს თავის ჯარისკაცებს! ისინი გმირები არიან!

გელა ჩარკვიანმა საბჭოთა კომუნიზმს უნიჭო და უინიციატივო ხალხის სამოთხე უწოდა

მწერალმა, კომპოზიტორმა და დიპლომატმა გელა ჩარკვიანმა საბჭოთა კომუნიზმს უნიჭო და უინიციატივო ხალხის სამოთხე უწოდა:

– ანდროპოვს დღემდე რომ ეცოცხლა, ვერც დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი გავხდებოდი, ვერც წიგნს გამოვუშვებდი, ვერც ნოტებს და ვერც დისკებს.

საბჭოთა კომუნიზმი უნიჭო და უინიციატივო ხალხის სამოთხე იყო. მათი უნიჭობის კომპენსაციას სახელმწიფო ნიჭიერთა შეზღუდვით ახორციელებდა. ამიტომაც მას უნიჭოები, უუნაროები და „ჟულიკები“ მისტირიან.

რობერტ სტურუა ახალ სპექტაკლზე მუშაობს

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა ახალ სპექტაკლზე მუშაობს.

რეჟისორი მაყურებელს პრემიერას მომავალი წლიდან შესთავაზებს. პრემიერამდე ცოტა დროა დარჩენილი, ამიტომაც შემოქმედებითი ჯგუფი უწყვეტ რეპეტიციებს გადის და რეჟისორისგან ბოლო მითითებებს იღებს.

3 იანვრიდან რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „შობა ტიფლისში“. ინსცენირება რობერტ სტურუას, ნინო კანტიძეს და ნიკოლოზ-ჰაინე შველიძეს ეკუთვნით, ახალ სპექტაკლში მონაწილეობენ მანანა აბრამიშვილი, ანა ამილახვარი, ნინო არსენიშვილი, მიხეილ არჩვაძე, ლელა ახალაია, ლევან ბერიკაშვილი, პაატა გულიაშვილი, ლუკა გულედანი, კახა კუპატაძე, მარინა კახიანი, ბაჩი ლეჟავა, რუსკა მაყაშვილი, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, გრიგოლ ჟორდანია, ირაკლი სანაია, ტრისტან სარალიძე, გაგი სვანიძე, ქეთი სვანიძე, ნიკა ქაცარიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, დარეჯან ხარშილაძე, მარინა ჯანაშია და ლაშა ჯუხარაშვილი.

სპექტაკლის სახელწოდებიდან გამომდინარე, პრემიერისთვის აფიშაც შესაბამისი დამზადდა და მისი ნახვისას მაყურებელი ძველ თბილისში მოგზაურობს.

ქართული ფილმი ოსკარის მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა

საქართველოს მიერ ოსკარზე წარდგენილი ქართული ფილმი მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა.

ზაზა ხალვაშის „ნამე“ ამერიკული კინოაკადემიის მესვეურებმა საუკეთესოდ არ მიიჩნიეს და ნომინაციაში საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი მოკლე ნუსხის მიღმა დატოვეს.

ინფორმაცია ამის შესახებ რეჟისორმა მარიამ ხაჭვანმა გაავრცელა:

– სამწუხაროდ, წელს საქართველო ოსკარზე ვერ მოხვდა, სამაგიეროდ მოხვდა აზიური ოსკარის ნომინანტი ხუთი ფილმი. გასაოცარია და საქართველოდან ოსკარზე საბრძოლველად არ გააგზავნეს აზიური ოსკარის მფლობელი ფილმი „დედე“.

რატომ?

რატომ!

მოკლე ნუსხაში მოხვედრილი ხუთი ფილმიდან მხოლოდ ორს აქვს აზიური ოსკარი აღებული.

საქართველოდან წარდგენის შანსი არ ეკუთვნოდა დედეს?

გული მწყდება, რომ ამხელა შანსი დავკარგეთ...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საზოგადოება

მსოფლიოში შრომითი მიგრანტების რაოდენობამ 164 მილიონს გადააჭარბა

მშენებლები, ბანკირები, მუსიკოსები, ტაქსისტები – შრომითი მიგრანტების არმია იზრდება და ამ დროისთვის გლობალურ მასშტაბში 164 მლნ. ადამიანს შეადგენს, ამ რიცხვში არ შედიან არალეგალები.

ამ ადამიანებს ორი მესამედი გადაბარგდა მდიდარ ქვეყნებში, სადაც ყოველი მე-5 დასაქმებული – უკვე უცხოელია.

მიგრანტებს შორის დასაქმება იზრდება, ადგილობრივებში კი უმუშევრობა – ამის საპასუხოდ, იმ ქვეყნების მთავრობები ამკაცრებენ საიმიგრაციო პოლიტიკას, შედეგად კი შრომითი მიგრაციის ზრდის ტემპები მოწინავე ქვეყნებში შენელდა, ამიტომ უცხოელების ნაკადი გადავიდა საშუალო დონის ქვეყნებზე, ამაზე მეტყველებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევა.

დიდი რაოდენობით მიგრანტები გაჩნდნენ ისეთ ქვეყნებში, როგორც ჩინეთი, ბრაზილია, რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთიც კი.

საიმიგრაციო რუკაზე ახალი მიმართულებების გაჩენის მიუხედავად, დღეისათვის მაინც დიდი ნაწილი ირჩევს დასავლეთის ქვეყნებს – ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას. მეწარმეებს იზიდავს ბიზნესკლიმატი, ფინანსური შესაძლებლობები და ინტელექტუალური ბაზა.

რიგითი თანამშრომლები კი დასავლეთში ეძებენ მაღალ ხელფასებს, სამუშაო ადგილებს და კარიერული ზრდის საშუალებებს.

მიგრანტთა 68% მდიდარ და განვითარებულ ქვეყნებზე მოდის, რაც შრომის ბაზრის ლიბერალიზაციით აიხსნება, პირველ რიგში ევროკავშირში, სადაც თითქმის 500 მლნ. ადამიანს შეუძლია 28 ქვეყანაში შეუზღუდავად გადაადგილდეს. ამას აქტიურად უყენებენ ევროკავშირის შედარებით ღარიბი ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც უფრო მდიდარ ქვეყნებში მუშაობენ.

შესაბამისად, გამოდის სხვაობა ციფრებში – საშუალოდ, მსოფლიოში, მიგრანტებზე მოდის სამუშაო ძალის 5%, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში – უკვე 185%.

ფართოდ გავრცელებული წარმოდგენის საპირისპიროდ, მიგრანტთა მხოლოდ 7% არის ლტოლვილი, მათი უდიდესი ნაწილი კი – 60%, სწორედ შრომითი მიგრანტია. წინა კვლევის შემდეგ გავიდა უკვე 10 წელი და ამ პერიოდში მიგრანტების რაოდენობა 10%-ით გაიზარდა.

მიგრანტთა 90% არის 25-დან 64 წლამდე ასაკის, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნები კარგავენ თავიანთი მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანი მოქალაქეების დიდ ნაწილს, რაც ცუდად აისახება მათ ეკონომიკურ განვითარებაზე.

მეორე მხრივ, მიგრანტები დიდი რაოდენობით აგზავნიან ფულს საკუთარ ქვეყნებში, რაც ეხმარება ღარიბ სახელმწიფოებს ვალუტის მარაგების ზრდაში და მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

მიგრანტების მიმღებ ქვეყნებშიც არაა ერთგვაროვანი შეფასებები – ერთი მხრივ, იქ ჩადიან ყველაზე მშრომელი და ბეჯითი უცხოელები, მეორე მხრივ – იზრდება ადგილობრივების უკმაყოფილება უცხოელების რაოდენობის მკვეთრი ზრდის გამო.

ყველაზე მეტად აღშფოთებულები არიან მდიდარი ქვეყნების მცხოვრებლები. სტატისტიკას თუ შევხედავთ, გასაგები ხდება რატომაც – ამ ქვეყნებში მიგრანტებზე მოდის შრომითი ძალის 18,5%, თანაც მათ აქვთ დასაქმების მეტი შანსები – ჩასულთა შორის ეკონომიკური აქტიურობა შეადგენს 70%-ზე მეტს, მაშინ როდესაც, ადგილობრივებში – 60%-ზე ნაკლებს.

ბბც.ცომ

კალიფორნიკოპი

რესტორნის კლიენტმა კერძში მარგალიტი აღმოაჩინა და გამდიდრდა

ამერიკელმა რესტორანში ხამანწკი შეუკვეთა და მასში მარგალიტი იპოვა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

რიკ ენტოშმა გადაწყვიტა, მეგობართან ერთად შემწვარი ხამანწკებით

პირი მანჰეტენის ერთ-ერთ ბარში ჩაეტკბარუნებინა. პირში მოლუსკის ჩადების შემდეგ მან რაღაც უცნაური იგრძნო.

– ის არ ჩამიკბეჩია, თუმცა მომეჩვენა, რომ რაღაც ისე არ იყო. ვიფიქრე, რომ ან ბჟენი ამომივარდა კბილიდან, ან თავად კბილის ნაწილი მომტყდა, – განაცხადა ამერიკელმა.

როგორც გაირკვა, ამერიკელის პირში აღმოჩნდა არა იდეალური ფორმის და მუქი ფერის ლაქიანი მარგალიტი. ოფიციანტმა მას დაუდასტურა, რომ ის მართლაც მარგალიტი იყო. დაწესებულების ერთ-ერთმა შეფმზარეულმა აღნიშნა, რომ 28 წლის მუშაობის მანძილზე ის მხოლოდ მეორედ გადააწყდა ასეთ შემთხვევას.

მარგალიტი შესაძლოა ათასობით დოლარი ღირდეს, თუმცა ენტოში მის შეფასებას არ აპირებს, ვინაიდან მის გაყიდვას არ გეგმავს. მან განაცხადა, რომ ნაპოვნ მარგალიტს თილისმის სახით შეინახავს.

– ახლა წლის ბოლოა და იცით ეს იმის ნიშანია, რომ მომავალ წელს ყველაფერი კარგად იქნება, – განაცხადა ენტოშმა. მან ასევე აღნიშნა, რომ კვლავაც გააგრძელებს ხამანწკების ჭამას იმის იმედით, რომ კიდევ ერთ მარგალიტს იპოვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

დალი ზაქარიაშვილი-ჩიკვაიძის მონატრება

ჩვენო დალი! წელიწადი და ხუთი თვე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ; გაუსაძლისია ყველასთვის ამ ტკივილის მოშუშება. ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილსა და თავზარდაცემას, რასაც უშენობა ჰქვია. დრო გადის, ტკივილი არ ცხრება. დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, მწუხარება და ტკივილი უფრო გვირთულდება. გვენატრება შენი სახე, ღიმილი, ხმა. გაუსაძლისია ჩემთვის – შენი მეუღლისთვის უშენობა. თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ, შენ გვერდით რომ ვიყავი. კარგია, რომ ვერ ხედავ ჩემს ყოველწამიერ ტანჯვას. შენ რომ იცოდე ჩემი გაუსაძლისი მდგომარეობა, მეორედ გაგისკდებოდა გული. სულ შენს მოლოდინში ვარ. კარი რომ გაიღება, შენ მგონიხარ. ვიხსენებ შენთან გატარებულ წლებს, თვეებს, დღეებსა და წუთებსაც კი; 25 დეკემბერი ხომ შენი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ აღვნიშნავთ არა საზეიმოდ, არამედ მგლოვიარებით. შენი მოულოდნელი წასვლით გაგვანადგურე. შენ იყავი შესანიშნავი დიასახლისი, სტუმართმოყვარე, ყველას გვენატრება შენი სათნო ღიმილი. გვაკლიხარ, გვიმძიმს უშენობა – განსაკუთრებით მოულოდნელად მიტოვებულ შენს უბედურ მეუღლეს. ვიდრე ცოცხალი ვიქნები, დრო შენს სიყვარულს არ გამიქარვებს. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ჩემი გული, ჩემო უსაყვარლესო დალი, მკვდარია უშენოდ. ყოველდღე მოვდივარ შენს საფლავზე მათთან ერთად, ვისაც უყვარდი და დღესაც უყვარხარ, ცრემლითა და ყვავილებით, სანთელ-საკმეველით. ვეფერებით შენს მომღიმარე სურათს და ვამბობთ, ნათელში ამყოფოს შენი სული სამუდამო სასუფეველში. უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვენატრები, გვაკლიხარ.

შენი გარდაცვალებით დამწუხრებული შენი დიდი ოჯახი და განსაკუთრებით ტანჯული შენი მეუღლე

მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა, შვილები ღევან და ლალი ტაბაღუები ოჯახებით, ძმები ლევან და თენგიზ ჩიქოვანები ოჯახებით, და ლამზირა ჩიქოვანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიმოზა ჩაქას ასული ჩიქოვანი-ტაბაღუა

პანაშვიდი: 20, 21 დეკემბერს, ქ.თბილისი, ნინო ტყეშელაშვილის (ყოფილი ტყეკულტურის) ქუჩა №3, ბინა 1გ.

გამოსვენება: 22 დეკემბერს. 14 საათზე, ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრიდან **(მისამართი:** ვარკეთილის დასახლება, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლის ქუჩა №77).

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6656

ევრო — 3.022

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3613

100 რუსული რუბლი — 4.0048

ამინდის პროგნოზი 20 დეკემბრისთვის

ბელარუსი მეკარე ავტოავარიაში დაიღუპა

ბელორუსიის ვიტებსკის მეკარე ანდრეი შჩერბაკოვი ავტოავარიას ემსხვერპლა. მასთან ერთად მის ცოლ-შვილიც დაიღუპა.

შემთხვევა 17 დეკემბერს, ღამის საათებში მოხდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა ავარიის მიზეზი.

შჩერბაკოვი თავის დროზე ბატეშიც ირიცხებოდა, მაგრამ იქ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და გუნდი დატოვა. თავის დროზე შჩერბაკოვი ბელორუსიის ნაკრებშიც იყო და ეროვნული გუნდის მაისურით რამდენიმე შეხვედრა აქვს ჩატარებული.

ხოსეპ გვარდიოლა: „მოურინიო ისევ გამოჩნდება ძლიერ გუნდში“

მანჩესტერ სიტის მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ ჟოზე მოურინიოზე ისაუბრა და თქვა, რომ მოურინიო ძლიერი სპეციალისტია და ის ისევ შეძლებს რომელიმე ძლიერი გუნდის გაწვრთნას.

გვარდიოლა დარწმუნებულია, რომ მისი და მოურინიოს გზები ისევ გადაიკვეთება.

– ჟოზე შეძლებს მუშაობის გაგრძელებას და მომავალში მის გუნდს ისევ დავუპირისპირდები. მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის საინტერესო იყო და მომავალშიც ასე იქნება. მოურინიოს მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ, – განაცხადა გვარდიოლამ.

ზლატანი ლოს-ანჯელეს გელექსიში დარჩა

ზლატან იბრაჰიმოვიჩი რომ ევროპაში აპირებდა დაბრუნებას, არავისთვის საიდუმლო არ არის, თუმცა მან ამის გაკეთება ვერ მოახერხა და იბრა კარიერას ლოს-ანჯელეს გელექსიში გააგრძელებს.

ევროპაში დაბრუნება ზლატანის ცოლმა არ მოინდომა და ფეხბურთელიც იძულებული გახდა, რომ ოჯახის ხათრით ამერიკაში დარჩენილიყო.

იბრაჰიმოვიჩი ამჟამად 37 წლის არის და ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ჩემი ბრილიანტის საყურეები ხომ არ გინახავს?

– როდის გქონდა, რო?

– აი, საქმეც მაგაშია!

●●●

დამწყები პოლიციელი პირველად გაუშვეს ქალაქში პატრულირებაზე გამოცდილ კოლეგასთან ერთად. გასვლის წინ კი გააფრთხილეს, რომ თუ ქუჩაში ხალხის საეჭვო შეჯგუფებას შენიშნავდნენ, უნდა დაეშალათ. ერთ-ერთ ქუჩაზე გავლისას ერთად შეკრებილი ხალხის მცირე მასა შენიშნეს. ახალბედამ მანქანა შეაჩერა, ფანჯრის მინას ჩაუწია და დაიყვირა:

– აბა, ცოცხლად, დაიშალეთ!

ადგილიდან არავინ დაძრულა. მაშინ მან ბოლო ხმაზე იღრიალა:

– ვის ვეუბნები! აბა, ცოცხლად, დაიშალეთ!

ხალხმა აუჩქარებლად და მშვიდად დაიწყო დაშლა და თან გაოგნებულები უყურებდნენ პატრულის მანქანას.

ახალბედა პოლიციელმა ვეტერან კოლეგას ამაყად გადახედა და ეუბნება:

– აბა, როგორი იყო? როგორ დავშალე?!

– ურიგო არ ყოფილა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ავტობუსის გაჩერებაა...

●●●

ორი მამაკაცი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– იღბლიანი ხარ?

– და მერე როგორი! ერთხელ, ჩხრეკის შემდეგ, საკუთარ ჯიბეში ნარკოტიკები ვიპოვე, რომელიც პოლიციელებმა ჩამიდეს და ვეღარ მიპოვეს!

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– მოწყენილი ხართ?

– კი, მაგრამ არც იმდენად...

●●●

ფემინისტური ორგანიზაციის შეკრება მიმდინარეობს. ტრიბუნაზე ქალი გამომსვლელი დგას და გაჰკივის:

– ქალების გარეშე ამ მამაკაცებს რა ეშველებოდათ, რას გააკეთებდნენ? უჩვენოდ რას იზამდნენ? ჰა! მე თქვენ გეკითხებით?!...

ამ დროს დარბაზიდან მამაკაცის ხმა ისმის:

– რას? რას და სამოთხეში ქოქოსებს ჩახეთქავდნენ...!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან
უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან
რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ისკო გრანდების სამიზნე გახდა

როგორც ჩანს, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის ყველაზე სასურველი კლიენტი მადრიდის რეალის ნახევარმცველი ისკო იქნება.

უკვე ვწერდით, რომ 26 წლის ფეხბურთელის გადაბირებით მანჩესტერ სიტი და თავად პეპ გვარდიოლაა დაინტერესებული, მაგრამ ესპანელ შემტევზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება.

ბრიტანული მედიის ცნობით, ისკოთი ჩელსიც არის დაინტერესებული და ლონდონელები მზად არიან 78 მილიონი ევრო გადაიხადონ. თუკი გარიგება შედგება, ისკო ლონდონში კვირაში დაახლოებით 280 მილიონ ევროს მიიღებს.

გავრცელებული ხმები ფეხბურთელის მომავალს ლონდონის არსენალსა და ტურინის იუვენტუსსაც უკავშირებენ. გამოცემის ცნობით, სიტიც და არსენალიც ტრანსფერს უფრო ზაფხულისთვის განიხილავენ, ჩელსიმ კი შესაძლოა, დრო იხელთოს და გარიგება იანვარშივე დადოს.

ისკოს რეალში საქმეები არცთუ კარგად აქვს, რაც მთავარ მწვრთნელ სანტიაგო სოლარისთან არცთუ კარგი ურთიერთობის ბრალია. როგორც ჩანს, ისკო კლუბის შეცვლის წინააღმდეგი არაა, თუმცა პრობლემა მისი კონტრაქტი შესაძლოა გახდეს – ესპანელ ფეხბურთელს „სამეფო კლუბთან“ ხელშეკრულება 2022 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, პირგასამტეხლოს თანხად კი 700 მლნ ევრო უწერია. რეალურად კი, მადრიდული კლუბი მასში მინიმუმ 100 მილიონი ევროს მიღებას იმედოვნებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ანგარიშსწორებით ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 2. უბანი ქუთაისში; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 6. სპორტის სათამაშო სახეობა; 9. უწყინარი ხასიათის მსუბუქი დაცინვა; 13. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 14. საღამოს სადილი; 15. გურულების, აჭარლების ძველებური მოკლე ჩოხა; 17. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 18. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 20. პოლონეთის პრეზიდენტი.

თარაზულად: 1. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი X საუკუნეში; 5. სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ზღვის დაბალი, თხელწყლიანი ნაპირი; 7. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 8. ავადმყოფური სიმპტომებით დროებითი შესუსტება; 10. ძვირფასი სარეწაო თევზი; 11. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 12. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 16. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 17. კუთხე საქართველოში; 19. ძვირფასი ლითონი; 21. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 22. შინაური ცხოველის კისერზე შებმული ჟღარუნა; 23. ფირმის, ორგანიზაციის ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა; 24. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა